საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ● № 13 (286) ● სამშაბათი, 28 იანვარი, 1992 წელი ● ფასი 50 კაპიკი

გუშინ პრესკონფერენციაზე

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო

გუშინ საღამოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მეთაურმა ბატონმა **თენგიზ სიგუამ** გამართა მორიგი პრესკონფერენცია ქართველი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ თბილისში ვითარება სულ უფრო სტაბილური ხდება, თუმცა კვლავ იმართება ყოფილი პრეზიდენტის მცირერიცხოვან მხარდამჭერთა მიტინგები.

— გუშინწინ, — აღნიშნა პრემიერ მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა, — ამუშავდა ფოთის ნავსადგური და წისქვილკომბინატი, დაიწყო ნავსადგურის ერთ მონაკვეთზე აყრილი რკინიგზის ლიანდაგის დაგება და მოწესრიგება.

კვლავ გრძელდება მოლაპარაკება ზუგდიდში დაბანაკებული ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერ შეიარაღებულ ფორმირებებთან.

ბ-ნმა თენგიზ სიგუამ დამსწრეთ აუწყა, რომ იმ 22 ქვეყანას, რომლებმაც უკვე ცნეს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, გუშინ კიდევ ორი სახელმწიფო — ბოლივია და ბულგარეთი შეემატა.

შემდეგ საქართველოს დროებითი მთავრობის მეთაურმა ისაუბრა რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე, იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც მთავრობა ახორციელებს მათ გადასაწყვეტად და პასუხი გასცა ჟურნალისტთა შეკითხვებზე.

ვრცელ ანგარიშს პრესკონფერენციის შესახებ ჩვენი გაზეთის მორიგ ნომერში შემოგთავაზებთ.

„იმისათვის, რომ ტრადიციული მეგობრობის კალაპოტში დავაბრუნოთ ორი ხალხის ურთიერთობა"

რუსეთის პრეზიდენტს ბატონ ბორის ელცინს, რუსეთის უზენაეს საბჭოს

ერთ წელზე მეტია შიდა ქართლში (ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) გრძელდება შეიარაღებული კონფრონტაცია. იღვრება სისხლი, იღუპებიან ადამიანები. ათიათასობით ქართველი ლტოლვილი გახდა საკუთარ მიწაწყალზე. ათიათასობით ოსი იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია და გაქცეულიყო ოსეთში.

ბევრი მწარე სიმართლე, და სამწუხაროდ, შეუდარებლად მეტი გულსატკენი სიცრუე ითქვა და დაიბეჭდა ამ ხნის მანძილზე საქართველო-ოსეთის კონფლიქტის ჭეშმარიტი ფესვებისა და კონფლიქტით მოცულ რაიონებში მიმდინარე მოვლენების შესახებ, დღეს ბევრი ცდილობს დაივიწყოს, რომ ყველაფერი დაიწყო 1990 წლის სექტემბერში დემოკრატიულ რესპუბლიკად ავტონომიური ოლქის უკანონო გამოცხადებით, რომლის მიზანი იყო საქართველოსათვის მისი ოდინდელი მიწების წართმევა. ეს განზრახვა ერთხელ კიდევ აშკარად დადასტურდა ამ დღეებში საქართველოსათვის უმძიმეს მომენტში რუსეთთან ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიის შეერთების საკითხზე რეფერენდუმის ნაჩქარევი მოწყობით, რეფერენდუმისა, რომლის კანონიერება და საფუძვლიანობა იწვევს არა მარტო ქართველების ეჭვს, არამედ ექსპერტების მიერაც შეფასებულია („ნეზავისიმაია გაზეტა" № 14, 1992 წლის 23 იანვარი, ე. პაინი, ა. პოპოვი — სამხრეთ ოსეთში რეფერენდუმის შესახებ) როგორც მორალურად გაუმართლებელი, იურიდიულად საეჭვო და პოლიტიკურად არაეფექტიანი აქტი.

ახლახან გამოქვეყნებულ სტატიაში („ნეზავისიმაია გაზეტა" № 13, 1992 წლის 22 იანვარი — სამხრეთ ოსეთის ტრაგედია: გზა თანხმობისაკენ), ცნობილი ოსი მეცნიერი, ჩრდილოეთ ოსეთისა და საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ვასილ აბაევი საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიის ზოგიერთი ასპექტის ანალიზის შემდეგ ბრძნულად ასკვნის: „იმისათვის, რომ ტრადიციული მეგობრობის კალაპოტში დავაბრუნოთ ორი ხალხის ურთიერთობა, უწინარესად უნდა მოვსპოთ ლაპარაკი სამხრეთ ოსეთის საქართველოსგან გამოყოფაზე. საქართველოს არც ერთი მთავრობა ამ აზრს არასოდეს არ დაეთანხმება და მართალიც იქნება, იმიტომ რომ ეს იქნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა". და მართლაც, ზემოთ აღნიშნული რეფერენდუმის შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „საქართველოს რესპუბლიკა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სუვერენული სახელმწიფო, დაიცავს თავის ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ურღვევობას, ყოველი საშუალებით, მათ შორის სამხედრო საშუალებებითაც".

ამ ფონზე, განსაკუთრებით გამსახურდიას დიქტატურის დამხობის შემდეგ, როცა საქართველოს ახალი მთავრობა, რომელიც ცდილობს საქართველოში ააშენოს ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოება, გაძლიერებით ეძებს ამ გაჭიანურებული სისხლიანი კონფლიქტის მოწესრიგების მშვიდობიან გზებს, აღშფოთებას იწვევს ზოგიერთი „კეთილისმსურველის" ცდები, რომ დაიყოლიონ რუსეთი ცნოს ოსეთის რეფერენდუმის შედეგები.

იმ ხალხის ნაწილის ნება-სურვილი, რომელსაც აქვს თავისი სახელმწიფო ტერიტორია და არის ხიზნად სხვა ქვეყანაში, არ შეიძლება ჩაითვალოს ლეგიტიმურ ბაზად თვითგამორკვევის პრობლემის გადასაჭრელად უფრო მეტად, ვიდრე ეროვნულ-კულტურული ავტონომიაა.

ძნელია არ ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ასეთი ცდებით, რაგინდ „კეთილი" განზრახვებით იყოს ისინი ნაკარნახევი, შეიძლება ოს ხალხს მხოლოდ დათვური სამსახური გაუწიო, ხოლო სუსტ წონასწორობას, რომელსაც ძლივძლივობით იცავენ ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე რესპუბლიკათაშორისი საზღვრების ხელშეუხებლობის დაცვით, მიაყენო დამანგრეველი დარტყმა. მისწრაფება უბიძგონ საერთაშორისო საზოგადოებრიობას შექმნას პოლიტიკური და ტერიტორიული თვითგამორკვევის პრეცედენტი, ამგვარ შემთხვევებში შეიძლება მოჰყვეს გაუთვალისწინებელი შედეგები ყველგან მთელ მსოფლიოში, ხოლო ასეთ პრეცედენტად ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემთხვევის გამოყენების სურვილი, სხვა რომ არა იყოს რა, ამორალურია საქართველოს მიმართ.

ჯ. ლომინაძე,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი;

გ. ხარაძე,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი;

ზ. სარალიძე,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ახალი ამბები

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა ● ფაქტი ● კომენტარი

ნომერში:

- ხევსურეთი: „ეკონომიკური ხსნის პროგრამა". ვინ არის ოპოზიცია: ოსმალო, საარსელი? — აინტერესებს შუაფხოველს. მე-2 გვ.
- ურემი გადაბრუნებულია და... გზაც უნდა გამოჩნდეს. გვჭირდება ამ გზაზე ველოსიპედის გამოგონება? მე-2 გვ.
- კინემატოგრაფში გაშინძე გამოჩნდება კაცის სინდის-ნამუსი... ოთარ იოსელიანის ესსე. მე-3 გვ.
- ინტერვიუ ენერგეტიკული კრიზისის თანხლებით. მე-4 გვ.

ტელეტაიპის ლენტიდან

საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრეს-ცენტრის განცხადება

მიმდინარე წლის 25 იანვარს ცენტრალური ტელევიზიის პირველი არხის „ნოვოსტის" ღამის გამოშვებაში გადაიცა ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის „ჰელსინკი-ფოტჩ"-ის („თვალსაზრისი") განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს რესპუბლიკაში თითქმისდა დღესაც ირღვევა ადამიანთა უფლებები და ახლანდელი ხელისუფლება პატივს არ სცემს ჰელსინკის აქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო ღირებულებებს.

საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პრეს-ცენტრი უფლებამოსილია განაცხადოს, რომ ამგვარი ბრალდება უსაფუძვლოა. საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება სრულ მზადყოფნას გამოთქვამს ნებისმიერ დროს მიიღოს საერთაშორისო ექსპერტები და შეუქმნას მათ ყველა პირობა მდგომარეობის ადგილზე შესწავლისათვის.

⊙

„რონაი" — გაზეთი ქურთებისათვის და ქურთების შესახებ

გამოვიდა რუსთაველის სრულიად საქართველოს საზოგადოებასთან არსებული ქურთთა ასოციაცია „რონაის" გაზეთ „რონაის" პირველი სასინჯი ნომერი. როგორც სარედაქციო სტატიაშია აღნიშნული, იგი გამოვა რუსულ ენაზე, რათა წაიკითხონ ყოფილი სსრ კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებში მცხოვრებმა თანატომელებმა. უახლოეს ხანში გაზეთი ქურთულ და ქართულ ენებზეც დაიბეჭდება.

გაზეთის პირველ ნომერში მკითხველი ნახავს სტატიებს ქურთი ხალხის ისტორიის, მისი წარმოშობის, კულტურის, წეს-ჩვეულებების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებ. აქვე დაბეჭდილია საუბარი ქურთთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარესთან იური ნაბიევთან.

ალა დავიდოვა,

⊙

რუკა — ავტომობილისტის ცნობარი

რესპუბლიკის წიგნის მაღაზიების დახლებზე გაჩნდა „საქართველოს საავტომობილო გზების სქემატური რუკა". იგი გამოსცა კოოპერატივმა „ავტომეტრანსპორტემ". იგი დიდ ინფორმაციას იძლევა, თანაც როგორც მძღოლების, ისე მგზავრებისათვის ყველაზე საინტერესო ცნობები მაქსიმალურად მოკლედ არის ჩამოყალიბებული, მაგალითად, მათთვის საინტერესო დასახლებულ პუნქტებს შორის მანძილის შესახებ. მოყვარულ ავტომობილისტს, რომელსაც ასეთი რუკა აქვს და გამგზავრებას აპირებს, შეუძლია ახლა ზუსტად გამოიანგარიშოს, რამდენი საწვავი დასჭირდება სამოგზაუროდ.

კოტე ცხომელიძე,

⊙

სამაჩაბლო: მოლაპარაკების თარიღი ამ დღეებში გახდება ცნობილი

25 იანვარს ცხინვალის მისადგომებთან გაიმართა წინასწარი მოლაპარაკება ქართულ და ოსურ მხარეებს შორის. როგორც იცით, ქართული მხარის ინიციატივით დაწყებული აქცია მიზნად ისახავს სამაჩაბლოში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციის ყველა საკითხის მოლაპარაკების გზით გადაწყვეტას.

მიღწეულია შეთანხმება, რომ უახლოეს დღეებში დადგინდეს ოფიციალურ მოლაპარაკებათა დაწყების ზუსტი თარიღი.

როგორც ცხინვალში ჩამოსულმა საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობის საკონსულტაციო საბჭოს მიერ შექმნილი კომისიის წევრებმა აღნიშნეს, ქართველთა მხარე 25 იანვარსვე იყო მზად ოფიციალური მოლაპარაკებისთვის, მაგრამ წინასწარ მოლაპარაკებაზე მოსული მეორე მხარის წარმომადგენლები არ აღმოჩნდნენ ამისათვის უფლებამოსილნი.

⊙

მეტი ყურადღება შავი ლითონის დამზადებას

საქართველოს რესპუბლიკის მთელი რიგი წარმოება-დაწესებულებები, სარგებლობენ რა შექმნილი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებით, მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან სახელმწიფოსთვის უაღრესად საჭირო შავი ლითონების დამზადების საქმეს.

იანვარში, მაგალითად, შეწყვეტილია ლითონის ჩაბარება, რის შედეგადაც რუსთავისა და რესპუბლიკის მანქანათსაშენებელი საწარმოები გაჩერების ზღვარზეა მისული. ისინი აწარმოებენ ერისათვის ისეთ მნიშვნელოვან პროდუქციას, რომლითაც მოიხსნებოდა რესპუბლიკისთვის ბევრი საარსებო პრობლემა. ლითონის მიწოდება რესპუბლიკის გარედან ფაქტობრივად შეწყვეტილია. ამიტომ სიმძიმის ცენტრი გადატანილია რესპუბლიკაში დამზადებულ ლითონზე.

საქართველოს დროებითმა მთავრობამ წინადადებით მიმართა რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს გაითვალისწინონ შექმნილი მდგომარეობა და იანვარ-მარტში პირადი პასუხისმგებლობით განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ლითონის დამზადების უთუო შესრულებისთვის. პირველი კვარტალის დავალების შესრულება მიმდინარე წლის ექვს აპრილს უნდა მოახსენონ მინისტრთა კაბინეტს.

⊙

ბირჟის ამბები

როგორც თბილისის უნივერსალური ბირჟის გამგეობის თავმჯდომარემ გია მაისაშვილმა გვაცნობა, პარასკევს საჯარო ვაჭრობაზე მთლიანად გაიყიდა შემდეგი საქონელი: 2600 ლიტრი მზესუმზირას ზეთი (1 ლიტრი — 9 მანეთი), 40 ტონა 2-3 მილიმეტრიანი ლითონის ფურცლები, ზომა 1×2 (1 ტონა — 10 ათასი მანეთი), 10000 ტონა მ-400 მარკის ცემენტი (1 ტონა — 260 მანეთი), 25000 კუბური მეტრი წიწვოვანი ხის მორები (1 კუბური მეტრი — 800 მანეთი), 1800 კვადრატული მეტრი წიფლის პარკეტი (1 კვადრატული მეტრი — 280 მანეთი), 17,5 ტონა ალუმინი (1 ტონა — 26 ათასი მანეთი), 10 ჰიდრავლიკური წნეხი (1 წნეხი — 25 ათასი მანეთი).

ტელეტაიპის ლენტიდან

ღმერთო და ალავერდის წმინდა გიორგი!

დავით ბიწაძე

ძეგლი ცოცხალი წინაპარია

უკვე რამდენი ხანია ალავერდის საეპისკოპოსო ტაძრის კომპლექსი ხარაჩოებშია მოქცეული და მისი შემოგარენი სამშენებლო პოლიგონად იქცა. იგი განახლდება, დაიბრუნებს თავის საუკეთესო იერსახეს. ეს კი ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით არ მოხდება. მეცნიერთა, სპეციალისტთა და რესტავრატორთა ვარაუდით, სამუშაოებს რამდენიმე წელი დასჭირდება.

ახმეტის რაიონში, ალაზნის ველზე აღმართული ქართული ხუროთმოძღვრების ეს უნიკალური ძეგლი VI საუკუნის შუახანებში დააარსა იოსებ ალავერდელმა, ერთ-ერთმა ცამეტ „სირიელ მამათაგანმა". XI საუკუნის დამდეგს კვირიკე კახთა მეფემ ალავერდის წმინდა გიორგის მომცრო ეკლესიის ადგილზე ააგო ვრცელი საკათედრო ტაძარი. საკმარისია ითქვას, რომ სიგრძე 41.7, სიგანე 26.4, ხოლო სიმაღლე 56 მეტრია და ცაში ატყორცნილი, იგი ოკეანის ტალღებზე მოცურავე უდიდეს გემს მოგვაგონებს. ამიტომაც მნახველზე წარუშლელ და განსაცვიფრებელ შთაბეჭდილებას ტოვებს. რა მოხდენილად უთქვამს პოეტს, „ღრუბლებში ამაღლებული დგას ალავერდის ტაძარი".

ძველი ქართული კულტურის ღირსშესანიშნავი და უდიდესი ძეგლი მრავალრიცხოვანი შენობებისაგან შედგებოდა და გარშემორტყმული იყო მტკიცე გალავნით. მათი ნაწილი ტაძართან ერთად კარგად არის შემონახული და ახლაც მყარად დგას, საკმაო ნაწილი დაზიანებულია. ტაძარს საფუძვლად უდევს ჯვარი, რომლის ერთნაირი ზომის მკლავი ნახევარწრიული აბსიდებით მთავრდება და ქმნის ე. წ. ტრიკონქს. დასავლეთის მკლავი წაგრძელებულია და აქვს გვერდის ნავები. საკურთხევლის აბსიდის ორივე მხარეს განლაგებულია სამკვეთლოსა და სადიაკვნოს ოთახები. გარედან შენობა სწორკუთხა მოხაზულობისაა. ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე აღმართული გუმბათი დაყრდნობილია ოთხ დიდ ბურჯზე, სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით ტაძარს ღია დერეფნები ამშვენებდა, რომლებიც XIX საუკუნის დამლევს დაუნგრევიათ. ამ მხარეებში არის მოთავსებული ტაძრის შესასვლელებიც. ტაძრის შიდა სივრცე აღტაცებას იწვევს თავისი გრაციოზულობით, თანაბარი პროპორციებით, დახვეწილობით. ინტერიერს აჩახჩახებს ვრცელი კარებიდან და 16 სარკმლიდან უხვად შემოსული სინათლე და მზის სხივები. მონუმენტური ფასადები სადად არის გაფორმებული, რაც საერთოდ დამახასიათებელია კახეთის ძეგლებისათვის.

სრულიად ორიგინალურია ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი. იგი შედგება ხუთი დეკორატიული თაღისა და ორი ღრმა სამკუთხა ნიშისაგან. ტაძარი უძველესი ქართველი ხუროების მიერ მოხდენილად არის ნაგები რიყის ქვით და კედლები ორივე მხარეს მოპირკეთებულია შირიმის მოზრდილი კვადრებით. შენობა გადახურული იყო ცისფრად მოჭიქული დიდი ზომის ქართული კრამიტის ფილებით, რომელთა ნაწილი ახლაც არის შემორჩენილი, ასევე შემორჩენილია ქართული ეპიგრაფიკული წარწერები.

არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე კომპლექსის ნაგებობანი მრავალჯერ დაზიანდა მომხვდური ურდოს მსახვრალი ხელისა და მიწისძვრებისაგან. მისი პირველი საკმაოდ რთული რესტავრაცია ალექსანდრე კახთა მეფემ განახორციელა XV საუკუნის 80-იან წლებში. მაშინ აღადგინეს გუმბათის ყელი მთლიანად და კედლების ცალკეული ნაწილები. შემდეგში ტაძარი რესტავრირებულ იქნა მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის დამლევს. რესტავრაცია ერეკლე მეორემ დაასრულა. ტაძრის ყველა აღდგენილი ნაწილი აგურით არის ნაგები.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამ ტაძარს არნახული ზიანი მიაყენა. კოლონიზატორთა ძალდატანებით თუ მათთვის საამებლად რუსული ეკლესიის წესისამებრ ტაძარი შიგნით მთლიანად თეთრად შეთხუპნეს, გაქრა მისი ეშხი და სილამაზე, კედლებიდან აღარ იმზირებოდნენ ქართველი დიდოსტატი მხატვრების უკვდავი ქმნილებანი — კეთილი ანგელოზები, ქართველი კაცის სულს სამუდამოდ დააჩნდა მძიმე ნაიარევი. ქართველი მრევლი ვეღარ ურიგდებოდა უსახურ სავანეს. სამი ათეული წლის წინათ კედლები გაიწმინდა. გამოვლინდა მხატვრობის რამდენიმე ფენა, მათ შორის პირველი და უმნიშვნელოვანესია XI საუკუნის მოხატულობის ფრაგმენტები, სამხრეთის მკლავის კედლებზე შემორჩენილია XVI-XVII საუკუნეების ფრესკები.

კომპლექსი აერთიანებს სხვადასხვა დროის ნაგებობებს, რომლებიც ხუროთმოძღვრების თვალსაზრისით თანაბრად საინტერესოა. ე. წ. პალატი საქართველოს ამ ტიპის ნაგებობებს შორის განსაკუთრებულ ადგილს იჭერს, იგი სამსართულიანია. ქვედა სართულში მოთავსებულია დიდი ზომის კამაროვანი დარბაზი. XVI-XVII საუკუნეებში აქ სატრაპეზო ყოფილა მოთავსებული.

1615 წლის ახლო პერიოდშია აგებული ფეიქარ-ხანის აგურის სასახლე, მისი მთავარი სადგომია რვაწახნაგა, კამარით გადახურული და ფართო თაღებით გახსნილი ნაგებობა, რომელზეც ფართო კვადრატული ოთახია მიშენებული. განთავსებულია სხვა საცხოვრებელი ნაგებობანიც, აგრეთვე აბანო, ღვინის მარანი, სამრეკლო და ა. შ.

კარგა ხანს ალავერდის კომპლექსი მამათა მონასტერი იყო, XVII-XVIII საუკუნეებში აქ დაარსდა დედათა მონასტერი, სადაც მონაზვნად აღიკვეცებოდნენ სამეფო ოჯახის წევრებიც და აქ ასრულებდნენ სიცოცხლეს.

ალავერდი ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობის მძლავრ კერასაც წარმოადგენდა. აქ მოღვაწეობდნენ ქართველი მწერლები, კალიგრაფები, მწიგნობარნი... ისტორიამ ნათლად შემოინახა ფილიპე ალავერდელის, ზებედე მთავარეპისკოპოსის, ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი), მარიამ ბაგრატიონისა და სხვათა სახელები.

ალავერდის საეპისკოპოსო, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპარქია საქართველოში, X საუკუნიდან კახეთის მთავრების ძირითადი სალოცავი იყო, ამავე დროს კახეთის მეფეთა ძვალშესალაგავ, მათ მძლავრ პოლიტიკურ დასაყრდენად იქცა. მეფეთა მეფემ დავით აღმაშენებელმა საეპისკოპოსო სრულიად საქართველოს სამსახურში ჩააყენა. აქაური ეპისკოპოსები მონასტრის წინამძღვრადაც, ანუ მამად ითვლებოდნენ და ატარებდნენ ალავერდელის ზედწოდებას, XVI საუკუნიდან კი მათ მიტროპოლიტის ტიტული ებოძათ. ამ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში კახეთის მეფემ ალექსანდრე პირველმა მტრისაგან დარბეული ალავერდი განაახლა და უხვად უბოძა მას ყმა-მამული. სწორედ მაშინ ალავერდის საეპისკოპოსომ პირველობა მოიპოვა მთელ კახეთში და მცხეთისაგან გამოყოფაც სცადა, თუმცა მცხეთის კათალიკოსმა ეს არ დაუშვა.

ვინ მოთვლის, რამდენ ქარტეხილს გაუძლო ალავერდმა და ჩვენამდე მაინც ამაყად მოაღწია. XVII საუკუნის მეორე ათეულში იგი დაარბია შაჰ აბას პირველმა. ამავე საუკუნის შუა წლებში თურქმანთა მომთაბარე ტომებმა, რომლებიც აქ ოჯახებიანად გადმოეხვეწნენ, მისი ადგილ-მამულები საძოვრებად აქციეს, ნაგებობანი — ციხე-სიმაგრედ. 1659 წელს აჯანყებულმა კახელებმა თურქმანები დაამარცხეს და განდევნეს, მაგრამ მტრისაგან მიყენებული უდიდესი ზარალი მალე ვერ აანაზღაურეს და საუკუნის მიწურულამდე საეპისკოპოსო ფეხზე ვეღარ წამოდგა. შემდგომში აქ ლეკებმაც ითარეშეს და სერიოზული ზარალი გამოიწვიეს. რაც მათ გადაურჩა, პირწმინდად აახრა თამაზ-ხანის მოსისხლე ურდომ. საეპისკოპოსოს სამეურნეო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ აღორძინებას ხელი შეუწყო ალავერდისა და მცხეთის კათედრების გაერთიანებამ, რაც მე-18 საუკუნის 80-იან წლებში მოხდა. უკვე 1811 წელს ალავერდის ეპარქიის განკარგულებაში იყო 113 ეკლესია, 350-მდე ყმა-გლეხი და ათასობით საჟენი მიწა.

ალავერდის საეპისკოპოსოს გვირგვინი გახლდათ ნაყოფიერებისა და მოსავლის აღება-დაბინავებასთან დაკავშირებული ყოველწლიური სამშემოდგომო დღესასწაული. იგი ზუსტად ტაძრის კარზე იმართებოდა მონასტრის დამაარსებლის იოსებ ალავერდელის პატივსაცემად. უკეთეს სანახაობას ადამიანი ვერ ინატრებდა, იწყებოდა 29 სექტემბერს, და გრძელდებოდა სამ კვირას, სამსაფეხურიანი ციკლი დაკავშირებული იყო წინა ქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებთან, კერძოდ, მთვარის კულტთან. ალავერდისაკენ ღამის სათევად მოემართებოდნენ მლოცველები შიგა და გარე კახეთიდან, ჰერეთიდან, ქიზიყიდან, ერწო-თიანეთიდან, ფშავ-ხევსურეთიდან... მოდიოდნენ მეზობლად მოსახლე ვაინახები, ელები, დაღესტნელნი, ოვსნი... იმართებოდა სხვადასხვა ხალხური სანახაობანი, ასპარეზობანი, ჯვარ-ნიშნობა, ლოცვა-ლიტანია, იდგა სულის განწმენდის ნეტარი დღეები.

ალავერდთან დაკავშირებული იყო ტრადიციული ბაზრობაც, რომელმაც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან კიდევ უფრო ფართო ხასიათი მიიღო. გასაყიდად შემოჰქონდათ სამრეწველო საქონელი, შინამრეწველური ნაწარმი, სურსათი და სანოვაგე, ღვინო და მისი პროდუქტი, აქ ძალუმად იგრძნობოდა მდიდარი კახეთის მსუყე შემოდგომის სურნელი.

ავადსახსენებელი კომუნისტური რეჟიმი მთელი სისასტიკით ებრძოდა რელიგიას, გაბოროტებით იღწოდა ადამიანის სულიერი ღირსების ჩაკვლისათვის, მკაცრად უსწორდებოდნენ მათ, ვინც გაბედავდა და ალავერდობის დღესასწაულზე მოვიდოდა, მაგრამ ვერანაირი საშუალებით ეს გრძნობა მაინც ვერ მოსპეს. 70-იანი წლებიდან რესპუბლიკის პარტოკრატია მოჩვენებითობის ახალმა სენმა შეიპყრო. რელიგიურ დღესასწაულებს ვითომ დაუპირისპირეს ე. წ. ახალი „საბჭოური დღესასწაულები", რომლებზეც რაიონის ხელმძღვანელებს იძულებით მოჰყავდათ ადამიანები. ამ სტრიქონების ავტორი რამდენჯერმე შეესწრო ასეთ „დღესასწაულს" და მისდაუნებლიედ პრესაშიც შელამაზებულად ასახა იგი. რას იზამ! სიმართლის დრო არ იყო. სიმართლისათვის ადამიანებს მიწასთან ასწორებდნენ. მაშინ ვინ გაბედავდა გვეთქვა, რომ ძალით მოყვანილი მოზეიმენი ათჯერ და მეტად ნაკლები იყვნენ, ვიდრე რწმენით მოსული მლოცველნი. ერთი სიტყვით, ტრადიცია მაინც გრძელდებოდა, მაგრამ არა ისეთი ფართო მასშტაბებით, როგორც მას ჩვენი წინაპრები ატარებდნენ. უკანასკნელ წლებში კი მრევლმა საგრძნობლად იმატა. შარშან სექტემბერში ალავერდობაზე ისევ მილეთი ხალხი მოვიდა. საჭიროა ის ცნობილი ბაზრობა აღდგეს, რომელიც აქ იმართებოდა.

ალავერდის რესტავრაცია კი მნიშვნელოვანი მოვლენაა მართლმორწმუნე ქართველი ხალხისათვის. სამუშაოები ხორციელდება სხვადასხვა დარგის მეცნიერთა პარტნიორობით. ისე კი მას უძღვება რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან არსებული ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, ხუროთმოძღვრებს, არქეოლოგებს, ისტორიკოსებს, ხელოვნებათმცოდნეებს... ვის არ შეხვდებით აქ. ისინი მონაწილეობენ საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კომისიის მუშაობაში, რომელსაც ხელმძღვანელობს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ანდრია აფაქიძე.

რა სამუშაოები შესრულდა უკვე? დასრულდა კარიბჭის რესტავრაცია, სადაც დააყენეს ქართველი ჭედური ხელოვნების ოსტატთა მიერ შექმნილი სპილენძის ძვირფასი კარი, შესასვლელში დაგებულია ქვის ახალი იატაკი, სპილენძისავე ფურცლებითაა გადახურული შესასვლელი, მიმდინარეობს გალავნის აღდგენა: აშენდება ჩამოშლილი კედლები, ქონგურები, დათბობისთანავე განახლდება მუშაობა გუმბათის ყელის შეკეთებაზე, გათვალისწინებულია სატრაპეზოს რესტავრაცია, ტაძრის სახურავის გამოცვლა, სადიაკვნოსა და სამკვეთლოს აღდგენა, ინტერიერის მოწესრიგება და ა. შ.



...ამას წინათ კვლავ ვესტუმრე ალავერდს, ჩემი ყურადღება ერთმა მოხუცმა ქალბატონმა მიიქცია. მას ხელში ანთებული სანთელი ეჭირა და ხელაპყრობილი ღმერთს შეჰღაღადებდა: მოგვიტევე, შეგვინდე ღმერთო ცოდვანი ჩვენი, რამეთუ თქვენგან განდგომამ გვარგუნა მწარე ბედი, მოგვივლინა სატანა, რომელიც ერთ კერძ დაეუფლა ჩვენს სულსა და გონებას, გამოიწვია მსხვრევაი, ნგრევაი, ძმათა სისხლის ღვრა და წოვაი, გვიხსენ ავი სულებისაგან, დაგვიბრუნე სიმშვიდე და კეთილგონიერება, ნუ გაწირავ თქვენს კურთხეულ მიწაზე მოსახლე ღვიძლ მოდგმას...

ვუსმენდი მის ღაღადისს და უცებ გულში გამიელვა: რამდენი უბრალო პატიოსანი ადამიანი გვყავს, რომელიც გულით ლოცულობს საქართველოზე, მის მართლმორწმუნე ნატანჯ ხალხზე.

ღმერთო და ალავერდის წმინდა გიორგი! აღუსრულე მათ კეთილგანზრახვანი. დაიფარე შენი ხალხი ბოროტებისაგან, შეუნდე მათ შეცოდებანი, რამეთუ მრავლად არიან ჩვენში ძენი შეცდენილნი.

თამაზ ქიქავას ფოტო.

ჟამი განკითხვისა და გამოცდისა

მწერალი კობა არაბული, ხევსურეთის სათემო სტრუქტურების შექმნის აქტიური მონაწილე გახლავთ. დღეს იგი „მამულის აღორძინების“ საზოგადოების გამგეობის წევრია. ვფიქრობთ, რომ მასთან საუბარი ჩვენი მკითხველისათვის უთუოდ საინტერესო იქნება.

საუბარს უძღვება
ჯემალ ქურხული.

გზად მომავლისკენ

— ბატონო კობა, თითქმის ორი წელიწადია, შეიქმნა ხევსურეთის თემთა საბჭო. გთხოვთ, ორიოდე სიტყვით გაიხსენოთ, როგორ მოხდა ამ ალბათ რთული საქმის განხორციელება. ვინ იდგნენ ამ ეროვნული მნიშვნელობის საქმის წამოწყებასთან და რამდენად განხორციელდა მათი მიზნები?

— მაშინ ვწერდი: ხევსურეთში გაუქმდა კომუნისტური სისტემა; შეიქმნა ხევსურეთის თემთა საბჭო და მიწა სათემო მფლობელობაში გადაეცა-მეთქი, ჩემმა ამ გამოსვლამ ზოგიერთი აღაშფოთა, რადგან მაშინ მთელ საქართველოში ისევ კომუნისტური რეჟიმი იყო და ასეთი მოვლენა ერთი შეხედვით დაუჯერებელი ჩანდა. ფაქტობრივად ჩვენ მაშინ შევძელით ის, რისთვისაც დროებითი ხელისუფლება იბრძვის. ახლა. რამდენიმე კაცმა დავწერეთ „ხევსურეთის ეკონომიკური ხსნის პროგრამა“. ჩვენ პირველებმა აღვადგინეთ მიწის სათემო მფლობელობის მოდელი და მოვითხოვეთ ამ მოდელის განხორციელება (დანერგვა) ხევსურეთში „ექსპერიმენტის“ სახით, რადგან ექსპერიმენტი გვაძლევდა შანსს ამ პროგრამის გატანისას... ვგრძნობდით ეროვნული მოძრაობის (რომელიც მაშინ გახლეჩილი არ იყო) საერთო მხარდაჭერას ამ კონცეფციისათვის. ჩვენ შევძელით მისი გატანა ხევსურეთში და სამეურნეო სტრუქტურებთან ერთად მმართველობითი სტრუქტურების გაუქმებაც...

შემდგომ ჩვენ მოვითხოვდით, რომ ხევსურეთის მაგალითი გავრცელებულიყო საქართველოს მთიანეთში, თანდათან დაწყებულიყო მიწის პრივატიზაცია მიწათმფლობელობის ტრადიციულ ფორმათა გათვალისწინებით მთელი საქართველოს მასშტაბით, მაგრამ ჩვენი ხმა დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.“ ხევსურეთი ლამის ბლოკადაში მოექცა... ვერც მაშინდელმა (გუმბარიძისეულმა) კომუნისტურმა რეჟიმმა, ვერც გამსახურდიასეულმა ხელისუფლებამ ვერ გაბედა ამ პროგრამის განვითარება...

უზენაესი საბჭოს ჩხეიძისეული კომისია პირდაპირ ბარიერად გადაეღობა ყველა სასიკეთო იდეას და პროგრამას მიწის თაობაზე, მთავრობამ მაშინ წამოსწია გაცვეთილი კონცეფციები და მამულის აღორძინების შანსი ერთხელ კიდევ დაასამარეს (როგორც ჩანს, ჩვენივე ბედისწერა საკუთარი ბედნიერების საშუალებას არ გვაძლევს და თავს საკუთარი ხელით გვამარხვინებს).

რაკი საქართველოში საერთო მდგომარეობა გართულდა, ხევსურეთის თემთა საბჭოსაც გაუჭირდა.. უნდა ითქვას, რომ კომუნისტური რეჟიმის დროს ხევსურეთის სათემო მმართველობას მხარი დაუჭირა მაშინდელი მთავრობის მეთაურმა ბატონმა ნოდარ ჭითანავამ... შემდეგ ეროვნული ხელისუფლების პირობებში კვლავ საფრთხე შეექმნა თემთა საბჭოსა (და მთლიანად ხევსურეთის) თავისუფლებას... პრეფექტურული, მავნე სისტემის შემოტევისაგან, მაგრამ იმ შემთხვევაში დაგვიცვა ეროვნული მთავრობის თავმჯდომარემ ბატონმა თენგიზ სიგუამ. მას ვთხოვეთ, არ შეხებოდნენ ხევსურეთის სათემო სტრუქტურებს — და ჩვენი წინადადება მიიღეს.

როცა ჩვენ „ხევსურეთის ეკონომიკური ხსნის პროგრამას“ ვწერდით და ხევსურეთში მის განხორციელებას ვვარაუდობდით, ჩვენი იდეის აღმსრულებლად გიორგი წიკლაური გვეგულებოდა (ახლანდელი თემთა საბჭოს თავმჯდომარე), ერთადერთი კაცი დუშეთის რაიონში, რომელიც ამ მძიმე „ძველი და ახალი“ ტვირთის ზიდვას შეძლებდა... ჩვენი თხოვნითა და ხევსურეთის ყრილობის გადაწყვეტილებით მან იტვირთა ეს საქმე. და თუ ღვთის ნება და ხალხის გონიერებაც იქნება, ხევსურეთი, ალბათ, შერჩება საქართველოს... ამ კაცის მეთაურობით.

— კონკრეტულად რა გაკეთდა ხევსურეთისათვის?

— ეს ცალკე თემაა და, ალბათ, სხვა დროს ვისაუბრებთ. ერთი რამ მაინც შეიძლება ითქვას, ხევსურეთი შებრუნდა ისტორიისკენ... და იგი უნდა მისწვდეს იმ გაწყვეტილი ჯაჭვის რგოლს, რომელსაც ტრადიციასთან კავშირი ჰქვია და საკუთარი თავი აღიდგინოს... საერთოდ კი ამ ერთი წლის განმავლობაში გაკეთდა იმდენი რამ, რაც მთელი 10 წლის მანძილზე არ გაკეთებულა.

— დღეს საქართველოში მძიმე სიტუაციაა. ხალხს უჭირს. როგორ აფასებს ამ მოვლენებს დღევანდელი ხევსურეთის თემთა საბჭო?

— მართალს ბრძანებთ — ქართველ ერს უმძიმესი ჟამი უდგას. ჟამი საშინელი განკითხვისა და გამოცდისა: დავკარგეთ გრძნობა სათნოებისა და თავმდაბლობისა, სიბრძნე ანდრეზისა, სინათლე ფოლკლორისა! და რაც მთავარია: დაიკარგა ქალის (დედის) ღვთისმშობლისეული ფუნქცია — რომელიღაც სატანისეულმა ენერგიამ ქალები ოჯახებიდან აყარა და ქუჩებში გამორეკა — კარვებში შესახლა და საკუთარი შვილების მტრად აქცია!

ხევსურეთი, რომელსაც ბევრი რამ უნახავს, გაოგნებულია ამ მოვლენებით. როდესაც ხალხს მოუწოდეს ოპოზიციის წინააღმდეგ და დუშეთის პრეფექტმა ფშავ-ხევსურეთშიც დაგზავნა თავისი ემისრები, იქ, საერთოდ, ვერ მიხვდნენ, ვის ვებრძოდით და ვინ იყო მტერი. და ბოლოს, როდესაც გაერკვნენ, რომ ქართველს ქართველის სისხლი უნდა დაეღვარა, მათ კატეგორიული უარი თქვეს ამ სამარცხვინო აქციაში მონაწილეობაზე. ისინი საერთოდ არ გამოჩენილან დედაქალაქში.

ერთ შუაფხოველ ფშაველს უკითხავს::

— ვინ არის ეს ოპოზიცია: ოსმალო, სპარსელი თუ სხვა ვინმეო?

— მოწინააღმდეგე ქართველიაო, უპასუხეს.

— აბა, ქართველის მოსაკლავად ამ უბენზინობაში რაღა ქალაქში ვიარო, აგერ მდინარის გაღმა ჩემი ძმა ცხოვრობს, ეგ არის ჩემი ოპოზიცია, გადავალ და ბარემ მაგას დავკრავ თოფსაო!

ასეთი იყო ფხოველთა პოზიცია შექმნილ სიტუაციაში. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საქართველოს სახელოვანი მეფენი ყოველთვის გვერდში იყენებდნენ ამ კუთხის ხალხს „როგორც ფრიად ერთგულს, გულოვანსა და უღალატოს“ და ჭკუასაც ეკითხებოდნენ. ასე უბრალოდ შეჰკადრებდა ხევსურიც მეფეს: „მეფეო, ორს რომ შენსას იტყვი, ერთი ჩვენიც დაიჯერეო!“

სამწუხაროდ, მომდევნო რეჟიმებმა ფშავ-ხევსურეთს საშინელი ტერორი გამოუცხადეს. 7 ათეული წლის მანძილზე ამ ხეობის კაცს ვერ ნახავდით ვერც ერთი მთავრობის შემადგენლობაში და ვერც რაიმე შესამჩნევ თანამდებობაზე!

— როგორც ცნობილია, თქვენ ბრძანდებით მამულის აღორძინების საზოგადოების გამგეობის წევრი, ეროვნულ ტრადიციათა და რიტუალთა ცენტრის დამფუძნებელი. ალბათ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება მოგვითხროთ, თუ რას ნიშნავს თქვენი ორგანიზაცია და რა ფუნქცია აკისრია მას.

— თქვენ, ალბათ, მოგეხსენებათ, რომ საქართველოში არ არსებობდა ისეთი საზოგადოება, რომელიც უპატრონებდა მხოლოდ მამულის აღორძინების საქმეს, (იყო მიწათმოქმედთა კავშირი, რომელმაც ვერ შეასრულა თავისი ფუნქცია მრავალი მიზეზის გამო და გაკოტრდა). მიუხედავად პარტიათა და ორგანიზაციათა სიმრავლისა, ამ მხრივ იყო ერთგვარი ვაკუუმი — ნაწილობრივ ყველა კისრულობდა ამ ფუნქციას, მაგრამ, ფაქტობრივად, ვერავინ!!!

ქართულ მიწა-წყალს და მუნ დამარხულ ყოველ საიდუმლოს გაცოცხლება და მოვლა უნდა... მამული მხოლოდ მიწა არა გახლავთ. ის ცოცხალთა და მკვდართა, წინაპართა და მომავალთა ერთიანი საუფლოა და ჰყავს მათი ურთიერთკავშირის მეოხებით... როცა მათ შორის კავშირი წყდება, მამული კნინდება და დაღუპვის ზღვარზე დგება!

საჭიროა ამ კავშირების აღდგენა: მითოლოგიური, ფოლკლორული. ისტორიული სიბრძნის ამოწევა — სამეურნეო და საკულტო ადათ-წესის გაცოცხლება — რომ ერმა გაწყვეტილი სიცოცხლე გააგრძელოს!..

მამულის აღორძინების საზოგადოებამ, მიწის მფლობელთა და კერძო მესაკუთრეთა ინტერესებს მხარი უნდა დაუჭიროს.

ამ ეტაპზე „მამულის აღორძინების საზოგადოებამ“ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს პრივატიზაციის ურთულეს პროცესში და როგორმე თავისი საქმიანობით დაიცვას ქვეყანა მომაკვდინებელი ქაოსისაგან.

როგორც წესდებაშიც წერია, იგი არის ზეპარტიული ორგანიზაცია. არ იცავს რომელიმე პარტიის ინტერესებს და ემსახურება მხოლოდ ერთს — საკუთარ მამულს!... ამიტომაც ამ (ჩემის ღრმა რწმენით) მეტად მნიშვნელოვანი საზოგადოების კარი ღიაა ყველა ღირსეული მამულიშვილისათვის, ორგანიზაციისათვის, პარტიისათვის. ამიტომაც არის აქ თავმოყრილი შესანიშნავი ხალხი საქართველოს ყოველი კუთხიდან...

ფოლკლორი ამბობს: „ვაჟი მოკვდება რაზედა? — მამულსა საკუთარზედა...“

ჩვენ ყველანი საკუთარი მამულის მოსავლელად გაგვაჩინა ღმერთმა და მის ინტერესებს უნდა შევეწიროთ — და როცა ამას ვერ (ან არ) ვახერხებთ, მაშინ ეშმაკი მძლავრობს ჩვენში, და მხოლოდ საკუთარ „ჯამში“ გვახედებს...

რაც შეეხება „ეროვნულ ტრადიციათა აღორძინებისა და დაცვის საწარმოო შემოქმედებით ცენტრს“ — იგი პრაქტიკულად განმახორციელებელი იქნება იმისა, რაც იდეაში უდევს მამულის აღორძინების კავშირს...

ცენტრი შეეცდება დედაქალაქში შექმნას „ფოლკლორული ბაზარი“, სადაც გამოიფინება საქართველოს ყოველი კუთხის ოსტატთა ნახელავი, დაწყებული შილდ-ისრით და გათავებული რაჭული საგმელით... ეს იქნება ზედმიწევნით იმის მსგავსი, როგორსაც წინაპრები აკეთებდნენ და არა ისეთი, როგორსაც „სოლანები“ და „სალონები“ ასაღებენ.

ჩვენ უნდა გავჭედოთ დავითფერულები, ავასხათ „ქერიგოს ქვისფერი“ ჯაჭვი.

აღვადგინოთ ჩვენი უძველესი სამოსელი თავისი ორნამენტით.

მსოფლიო ასპარეზზე გავიყვანოთ ხისა და თიხის ოსტატები...

„ფოლკლორული ბაზარი“ იქნება ის ადგილი, სადაც შინაური თუ უცხოელი იხილავს და შეიძენს ქართველი ხალხის ყოფაში შექმნილ ყოველ ნივთსა და სამკაულს.

— ეროვნულ ტრადიციათა აღდგენის ცენტრს საქართველოს ყოველ კუთხეში ექნება მიწის ნაკვეთები და მცირე ფერმები, რომ იქ — აღადგინოს და დაიცვას გამქრალი და გაქრობის პირას მისული მცენარეული და ცხოველური ჯიშები: აწარმოოს წმინდა ნატურალური პროდუქცია ხალხური ტექნოლოგიით და ასე აღორძინოს მამული, დაუბრუნოს ქართულ მიწას რქამაღალი ხარები, თუშური ცხვარი და ცხენები, ხევსურული ძროხა, კავკასიური ნაგაზი, მთის მურა ფუტკარი და სხვა. ტრადიციათა ცენტრის დამფუძნებელთა შორის არიან ჩვენი შემოქმედი პრაქტიკოსი და ტექნიკური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: საკმარისია დავასახელოთ ბატონები: გიორგი ნახუცრიშვილი. მიხეილ ღოღობერიძე, კოტე ჯანჯღავა, გიორგი გიგაური, ჯანრი გოგეშვილი, ივანე წიკლაური, გიგლა არაბული, რეზო რამიშვილი, რამინ რამიშვილი, ზაურ მაჭავარიანი, ავთანდილ არაბული, დავით ფიცხელაური, კოტე ფანჩულიძე, ჯანსულ ღვინჯილია და სხვანი.

ერთი სიტყვით, ამ ცენტრზე ბევრი ითქვა რადიო-ტელევიზიით. დაიბეჭდა პრესაშიც. მაგრამ ახლა მთავარია დღესვე შევუდგეთ საქმეს, ამისათვის საჭიროა ადგილის გამოყოფა დედაქალაქში სახელოსნოსათვის და „ფოლკლორული ბაზრისათვის“. მიწის ნაკვეთების გამოყოფა, პირუტყვის გადაცემა, — ერთი სიტყვით, ხელის შეწყობა საწყის ეტაპზე, დანარჩენი ჩვენ ვიცით, ყველაფერი მომზადებულია, ხელოსნები არიან და უცდიან ჩვენს სიტყვას...

— პოლიტიკურ საქმიანობაში თუ მიიღებს თქვენი ორგანიზაცია მონაწილეობას?

— პოლიტიკას პოლიტიკოსები უნდა მიჰყვნენ... თუმცა, კაცმა რომ თქვას, მიწისა და მამულის აღორძინების საქმე განა თავისთავად პოლიტიკა არაა?

ჩვენი მთიელები და ქისტები ისტორიული „მტერ-მოყვარენი“ არიან. ახლო მეზობლობაში ურთიერთშორის სისხლიც დაუღვრიათ, მაგრამ ორივე მხარეს ვაჟკაცობისა და სინდისისათვის არ უღალატია. ამდენად ერთი-მეორეს ყოველთვის პატივს სცემდნენ. ახლა როგორია თქვენი დამოკიდებულება ქისტებთან?

— ქისტები ჩვენი „ისტორიული ძმები“ არიან მე მყავან ქისტი მეგობრები, ნათესავები, ძმადნაფიცები — ვაჟკაცი, რაინდი და ჩინებული ხალხი. ქისტები არ ჩაერევიან ქართველთა საშინაო საქმეებში და ახლა თუ მსგავსი რამ ხდება, იქაც ეშმაკის ხელია ჩარეული. ამიტომ მოვუწოდებ ჩემს ძმებს: ალხანაშვილებს, ბეხოშვილებს, ფარეულიძეებს, მარგოშვილებს, ჩემს მეგობარს მათე ციხისაშვილს (რომელიც ახლა ჩეჩენ-ინგუშეთის პარლამენტის წევრია) საღად და ფხიზლად შეაფასონ ვითარება, და თუ საჭირო იქნა, დროულად ჩაერიონ მოვლენათა მსვლელობაში, რომ, პიროვნებათა მიზეზით, ბზარი არ გაჩნდეს ჩვენს მოძმე ერთა კავშირში — თორემ ეს იქნება კატასტროფა ჩვენი ერებისთვის, ეს იქნება ვეშაპის აღზევება კავკასიაში.

გაიმართა მეორე სხდომა

გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობის დროებითი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს მეორე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა ბატონი გიორგი ხაინდრავა. სხდომაზე გაგრძელდა სამაჩაბლოში პოლიტიკური ვითარების სტაბილიზაციის პირობებისა და საშუალებათა განხილვა.

კამათში მონაწილეობდნენ ბატონები ირაკლი ბათიაშვილი, ლევან ალექსიძე, ალექსანდრე კავსაძე, თედო პაატაშვილი, ზურაბ ჟვანია, დავით ბერძენიშვილი, ნოდარ ნათაძე, ირაკლი შენგელაია, ელდარ შენგელაია.

საგანგებოდ არჩეულ დელეგაციას, რომელშიც შევიდნენ დროებითი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს წევრები, დაევალა სამაჩაბლოში ჩასვლა და შეხვედრა ოსური მხარის წარმომადგენლებთან კონკრეტულად ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

შემდეგ განიხილეს ბინების პრივატიზაციის საკითხი. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა ჯონი ხეცურიანმა დამსწრეთ გააცნო ბინების პრივატიზაციის შესახებ დროებითი მთავრობის დადგენილების პროექტი.

სხდომის მონაწილეებმა დადგენილების პროექტში მნიშვნელოვანი შესწორებები შეიტანეს. გამოითქვა საერთო აზრი იმის სასარგებლოდ, რომ სახელმწიფო ბინები მოსახლეობას გადაეცეს უსასყიდლოდ, ყოველგვარი ფართობის შეზღუდვის გარეშე.

დადგენილებას მიიღებს მინისტრთა კაბინეტი პირველსავე სხდომაზე და იგი გამოქვეყნდება პრესაში, გადაიცემა რადიოთი და ტელევიზიით.

საკონსულტაციო საბჭომ იმსჯელა ექსპრეზიდენტის ორი სახელმწიფო ჯავშნიანი ავტომობილის თაობაზე. გადაწყდა, ორივე ავტომობილი, რომლის საერთო ღირებულებაა 420 ათასი დოლარი, გაიყიდოს საერთაშორისო აუქციონზე და აღებული ვალუტა მოხმარდეს რესპუბლიკის ეკონომიკას.

დროებითი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თენგიზ სიგუა.

საქინფორმის კორ.

ქმედითობა

„რა გვაქვს, როგორ ვუპატრონოთ?“

„საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 23 ნოემბერი

რედაქციას უპასუხებენ თბილისის კერამიკული კომბინატის დირექტორი თ. აღლაძე და საშენი მასალების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის უფროსი ც. ცანავა.

ავტორთა ჯგუფის წერილი „რა გვაქვს, როგორ ვუპატრონოთ?“ ეხება ადგილობრივი რესურსების გამოყენების პრობლემებს. წერილში აღძრული საკითხები აქტუალურია და სავსებით ვეთანხმებით ავტორების აზრს. მაგრამ წერილის ის ნაწილი, რომელიც ეხება თბილისის კერამიკულ კომბინატში მადნეულის სპილენძის საბადოს ფუჭი ქანის — რიოლითის გამოყენებას, სუბიექტურადაა გაშუქებული და ეყრდნობა არასწორ ინფორმაციას. წერილის პატივცემულ ავტორებს ადგილზე რომ გაერკვიათ მდგომარეობა, დამატებითი ახსნა-განმარტება აღარ იქნებოდა საჭირო. რეალური ვითარება კი ასეთია:

1987-88 წლებში კომბინატში ჩატარდა საქარხნო გამოცდები და შედეგმა ცხადყო, რომ რიოლითის გამოყენება ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილია, მაგრამ მისი მოწოდება მადნეულის სამთოგამამდიდრებელი ფაბრიკიდან, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ძალზე გაჭიანურდა. 1991 წლის განვლილ პერიოდში წარმოებაში შემოზიდულ იქნა 1700 ტონა რიოლითი. აქედან გამოყენებულ იქნა 500 ტონა, ხოლო 1217 ტონა ორმხრივი აქტის საფუძველზე ჩამოიწერა, როგორც უხარისხო. უნდა აღინიშნოს, რომ მადნეულის სპილენძის საბადოზე რიოლითის დასაწყობება მოხდა ყოველგვარი ნორმების დარღვევით, რის გამოც რიოლითში შეერია სხვა მინერალები, რამაც მისი გამოყენება კერამიკის წარმოებაში საგრძნობლად შეაფერხა.

შემდგომში რიოლითის სერიულად გამოყენების მთავარი მოთხოვნაა მადნეულიდან მისი მოწოდება დამტკიცებული ტექნიკური პარამეტრების შესაბამისად.

ურემი უკვე გადაბრუნებულია... და გზაც უნდა გამოჩნდეს

თემურ ფიფია.

ყველას თავისი აზრი აქვს

დღეს საქართველო პარლამენტის ახალი არჩევნების აუცილებლობის წინაშე დგას. ერთი წლის წინ დიდი ზარ-ზეიმით არჩეულმა უზენაესმა საბჭომ ჩაილურის წყალი დალია და თავისი „მოღვაწეობის“ შედეგად გაპარტახებული ქვეყანა დაგვიტოვა. ურემი უკვე გადაბრუნებულია და, თუ ხალხურ სიბრძნეს დავუჯერებთ, გზაც უნდა გამოჩნდეს. მაგრამ სამწუხაროდ, ამ გზას საით უნდა გავყვეთ, აღმა თუ დაღმა, ეს ჯერ კიდევ გასარკვევია.

ჩვენს პრესაში გაცხოველებული მსჯელობაა მომავალი არჩევნების შესახებ. მათი ლაიტმოტივი ის არის, რომ 1990 წლის ოქტომბრის არჩევნები მცდარი სისტემით ჩატარდა და ახლა საჭიროა ისეთი საარჩევნო კანონის მიღება, რომელიც მაშინ დაშვებულ შეცდომებს, თავიდან აგვაცილებს. 28 ოქტომბრის არჩევნების ძირითად ნაკლად ის ითვლება, რომ შესაძლებელი გახდა ერთ პიროვნებას, პარტიასა თუ ბლოკს მიეღწია დიდი უპირატესობისათვის, რამაც ფაქტობრივად გამოიწვია ერთპარტიული პარლამენტის შექმნა მისგან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით.

საერთოდ, ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთი ფრიად უსიამოვნო და, ჩემი აზრით საქართველოს პოლიტიკური განვითარებისათვის ძალზე არასასურველი ტენდენცია შეიმჩნევა. ესაა ჯვაროსნული ლაშქრობა პოლიტიკური პარტიებისა და ზოგადად პოლიტიკური პროფესიონალიზმის წინააღმდეგ. ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, რომელსაც არაპოლიტიკურ სფეროებში მოღვაწეობით სავსებით დამსახურებული ავტორიტეტი აქვს მოპოვებული, ფართოდ სარგებლობს პრესითა თუ ტელევიზიით და აქტიურად ნერგავს აზრს, თითქოს პოლიტიკურმა პარტიებმა დალუპეს და დააქციეს საქართველო. ლიტონ სიტყვად რომ არ ჩამეთვალოს, მოვიყვან სულ ცინცხალ მაგალითს: „შინაგან კინკლაობას აყოლილი პარტიები ვერა და ვერ შეთანხმებულან, ვინ წინ იდგეს და ვინ უკან, სამშობლო კი, დედასამშობლო, ვის საკეთილდღეოდაც ყველა ვარსებობთ, ხელიდან გვეცლება!

სადა ხარ შენ, ბრძენო, სამართლიანო, მრავალჭირგამოვლილო, ღვთისმოსავო ქართველო ხალხო?

ვის პარტიულ დოგმებს აჰყოლიხარ? ვის დუდუკზე ცეკვავ?“ („ქართველი მწერლების მიმართვა ერისადმი“. — საქ. რესპუბლიკა, 21. 01. 92).

ძმებო მწერლებო! ეს რა საშინელი ბრალდება წამოუყენეთ ახალწამოჩიტულ ქართველ პოლიტიკოსებს! ან რამდენად ზნეობრივია ხალხისადმი მიმართვის ასეთი ფორმა, პოლიტიკოსების ჩასაქოლად გამიზნული? რატომ გვავიწყდება, რომ ჩვენ „გაპოლიტიკოსებულმა მწერალმა“ დაგვაქცია და არა სხვა ვინმემ?

ავიღოთ თუნდაც გაუთავებელი გოდება და ირონია იმაზე, თუ რაოდენ ბევრი პარტია და ორგანიზაციაა საქართველოში. არადა დღეს ჩვენში მხოლოდ 50-მდე პოლიტიკური პარტია და ორგანიზაციაა, მაშინ როცა ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში მათი რაოდენობა სამ ასეულს აჭარბებს!

ჩვენ არაერთხელ გავმხდარვართ მოწმე, რომ პრესით და ტელევიზიით მავანნი და მავანნი თავიანთ სათქმელს იწყებენ ასე: „მართალია, მე პოლიტიკოსი არა ვარ, მაგრამ...“ და მოჰყვებიან ჭკუისდამრიგებლურ სენტენციებს პოლიტიკურ თემებზე. ხოლო თუკი თავს ერისათვის პოლიტიკური რეკომენდაციების მიწოდების უფლებას ვაძლევთ, ამით უკვე პოლიტიკოსები ხდებით და თუკი ვგრძნობთ, რომ პოლიტიკოსი არა ვართ, მაშინ ცუდ პოლიტიკოსად ვრჩებით.

ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში ადამიანი პროფესიონალად ყალიბდება ამა თუ იმ სფეროში უშუალო ჩართვის შედეგად. პოლიტიკოსიც პოლიტიკური მოღვაწეობის პროცესში ყალიბდება. ადამიანმა შეიძლება ძალიან კარგად შეისწავლოს იურისპრუდენცია, სოციოლოგია, ეკონომიკა, ფსიქოლოგია, მაგრამ ამით იგი პოლიტიკოსი ვერ გახდება. მართალია, მეცნიერებების ამ დარგების ცოდნა სასურველი და აუცილებელია პროფესიონალი პოლიტიკოსისათვის, მაგრამ მათი ზედმიწევნითი ცოდნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს კარგ პოლიტიკოსობას. ამის ცოდნასთან ერთად პოლიტიკოსი არის რაღაც კიდევ უფრო მეტი და ეს უფრო მეტი არის ის მუხტი, ის ძალა, რომელსაც ეს ცოდნა გადაჰყავს პოლიტიკურ განზომილებაში და პიროვნებას პოლიტიკოსად აყალიბებს. ეს მუხტი კი მხოლოდ პოლიტიკური მოღვაწეობის პროცესში ჩნდება.

სამწუხაროდ, ამ ძალზე მარტივი ჭეშმარიტების მტკიცება საჭირო გამხდარა, რადგან ქართულ საზოგადოებაში დღეს მრავლად არიან „მოხეტიალე ცდომილები“, რომლებიც დიდი რიხით ამცნობენ საზოგადოებას, რომ ყველა ბოროტების სათავე პოლიტიკური პარტიებია და მხოლოდ მათ, „პოლიტიკური მოღვაწეობიდან განზე მდგარ ინტელიგენტებს“ უპყრიათ ხელთ ჭეშმარიტება.

გასაგებია, რომ ასეთი განწყობის უპირველესი მიზეზი „მრგვალი მაგიდის“ მცდარი მოქმედების სავალალო შედეგია, თუმცა ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „მრგვალი მაგიდა“ არ ყოფილა პოლიტიკური პარტია და იგი იმთავითვე გაურკვეველი სუროგატი იყო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პარტიებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება უფრო შორიდან იღებს სათავეს და მას რამდენიმე მიზეზი აქვს.

ცნობილია, რომ ჩვენი საუკუნის 10-იან წლებში და შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოში უამრავი პარტიები აღმოცენდნენ. მათ უმეტესობას ახასიათებდა ეროვნული ნიჰილიზმი. — ისინი რუსეთსა თუ ევროპაში აფეთქებული სოციალური მოძრაობის სხვადასხვა მიმართულების მექანიკური გადმოღება იყო ქართულ ნიადაგზე. იმდროინდელი ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც, სხვათა შორის, ძირითადად ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში იყვნენ გაერთიანებული, ხმალამოღებული იბრძოდნენ ქართულ სინამდვილეში უცხო იდეების დამკვიდრებისა და მისი განმახორციელებელი პარტიების წინააღმდეგ. ქართული ინტელიგენციის ზოგიერთ დღევანდელ წარმომადგენელს პარტიების წინააღმდეგ მათი ბრძოლის პათოსი ბრმად გადმოაქვს ჩვენს სინამდვილეზე, როცა საქართველოში თითქმის არ არსებობს პარტია, რომელიც უპირველეს მიზნად ეროვნულ ინტერესს არ აყენებს. დრო თვითონ გაარკვევს, ვინ შემორჩება ამ პარტიებიდან ისტორიას, მაგრამ ასე ხელაღებით მათთვის არსებობის შეზღუდვა ყოვლად გაუმართლებელია.

პოლიტიკური პარტიებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების მეორე მიზეზი იმ უკუღმართობაში ძევს, რომ ერს 70 წლის მანძილზე აკრძალული ჰქონდა პოლიტიკური გონის არათუ განვითარების, არამედ არსებობის უფლებაც.

დათრგუნულმა პოლიტიკურმა პოტენციებმა სხვადასხვა დროს ქართული კულტურის სხვადასხვა დარგებში: მწერლობაში, კინო-ხელოვნებაში, მეცნიერებაში იჩინა თავი, ხოლო უბრალო ხალხი პოლიტიკურ ჟინს სპორტსა თუ დიდი ბელადის ქართული წარმოშობით თავმოწონებაში იკმაყოფილებდა. ასეთი ვითარება დღესაც ინერციით გადმოდის ჩვენს საზოგადოებაში და ხშირად ზედმეტად ამბიციურ ხასიათს იღებს.

ფაქტობრივი ვითარება დღეს რადიკალურად შეცვლილია. ქართველ ერს აქვს საშუალება დაიწყოს თავისი პოლიტიკური ნიჭის გაშლა და განვითარება. გაჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც აქვთ პოლიტიკოსად ყოფნის სურვილიც და შესაბამისი ნიჭიც. მათ მხოლოდ ახლაღა მიეცათ თავიანთი აღკვეთილი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება და არ უნდა გვიკვირდეს, რომ ფიზიკოსები შესანიშნავ კანონებს წერენ, ხოლო მუსიკოსები სახელმწიფოს მეთაურად გვევლინებიან. ცხადია, დღეს ისინი პოლიტიკოსები არიან და არა ფიზიკოსები და მუსიკოსები. ამიტომ პოლიტიკით გატაცებულმა ინტელიგენტებმა არჩევანი უნდა გააკეთონ: ისინი ან პოლიტიკოსები უნდა გახდნენ, ანდა თავიანთ საქმიანობას უნდა დაუბრუნდნენ. **არ შეიძლება პოლიტიკურ მოღვაწეობას შემოქმედებითი საქმიანობის ანტრაქტებში ვეწიოთ.**

ველოსიპედის გამოგონება ნამდვილად არ არის საჭირო. ცივილიზებულ ქვეყნებში პოლიტიკური მოღვაწეობა პოლიტიკური პარტიების მეშვეობით ხორციელდება. ყველა, ვისაც სურს პოლიტიკასთან ურთიერთობა, არსებულ პოლიტიკურ პარტიათა გამაში თავის შესაფერის ტონს პოულობს.

პოლიტიკური პარტიები წარმართავენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას, უქმნიან მას სტაბილურობას და აზღვევენ ხელისუფლებაში შემთხვევითი, არაკომპეტენტური პირების მოსვლისაგან. თავიანთი მოქმედების პროგრამების შედგენისას, ცხადია, ისინი უნდა ემყარებოდნენ ფილოსოფოსებს, სოციოლოგებს, ეკონომისტებს, იურისტებს, ფსიქოლოგებს, მაგრამ იქ არავის მოუვა აზრად, კარგი ფილოსოფოსი ან კარგი იურისტი, რომ არაფერი ვთქვათ მწერალსა და რეჟისორზე, პოლიტიკოსად მიიჩნიოს.

ამიტომაც, თუ გვინდა ბოლოს და ბოლოს საქართველოშიც დაიწყოს ნორმალური პოლიტიკური ცხოვრება, პოლიტიკურ პარტიებს უნდა მივცეთ ჩამოყალიბების და ფუნქციონირების საშუალება.

ასეთი, არც თუ მცირე შესავალი იმისთვის დაგვჭირდა, რომ პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკური პროფესიონალიზმისადმი ნიჰილისტურმა განწყობამ თავი იჩინა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების ახალი დებულების მომზადების დროს, რომლის პროექტიც გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (21. 01. 92). ამთავითვე ვიტყვი, რომ ფორმალური თვალსაზრისით დებულება თითქმის უნაკლოა და კიდევ ერთხელ ადასტურებს „დასის“ მაღალ პროფესიონალიზმს. შინაარსობრივად კი მთავარი იდეა, რაზეც აგებულია საარჩევნო დებულება, არ შეესაბამება ქართული პოლიტიკური გონის განვითარების დღევანდელ მოთხოვნებს. იგი ალბათ პრინციპულად მიუღებელი იქნება თავისი თავის პატივისმცემელი პოლიტიკური პარტიებისათვის.

მართალია, წარმოდგენილი დებულება ერთი შეხედვით ითვალისწინებს პარტიების პოზიციას და მათ ეძლევათ კანდიდატების დასახელების უპირატესი უფლება, მაგრამ საბოლოოდ იგი წინ წამოსწევს პიროვნულ მომენტს და პარტიების როლის უგულვებელყოფას ახდენს. მე არ მინდა, ვინმემ ინდივიდუალიზმის მოწინააღმდეგედ ჩამთვალოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ინდივიდუალიზმი ანარქიად შემოუბრუნდება ჩვენს ისედაც დაქცეულ ქვეყანას.

საქმე ის არის, თუ არჩევნები წარმოდგენილი წესით მოეწყობა, ამომრჩეველი უპირატესად ხმას მისცემს მისთვის ცნობილ ადამიანებს და რადგან პოლიტიკური ცხოვრება ჩვენში ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ არის, ხალხისათვის ჯერ უცნობი კარგი პოლიტიკოსის ნაცვლად გაიმარჯვებს ცნობილი მსახიობი, მეცნიერი, რეჟისორი, მომღერალი, ექიმი და ა. შ. (თუ ოპონენტები რეიგანის მაგალითს გამახსენებენ, ისიც გაიხსენონ, მან პოლიტიკური მომზადების როგორი სკოლა განვლო). რაიონებში, სადაც პოლიტიკური პარტიების გავლენა კიდევ უფრო სუსტია, პარლამენტის დეპუტატები გახდებიან მეურნეობათა დირექტორები, მსხვილ საწარმოთა ხელმძღვანელები და ა. შ. აქ არაფერს ცვლის, რომ ამომრჩეველს შეუძლია კანდიდატთა დიფერენცირება მოახდინოს. საარჩევნო ბლოკებად გაერთიანების საჭიროება ფაქტობრივად მოხსნილია. ამდენად, თითო ოლქში, დამოუკიდებელ კანდიდატთა ჩათვლით, სულ ცოტა 50 დეპუტატობის კანდიდატი მაინც მოგროვდება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რადგან ჩვენში ჯერ კიდევ ტოტალიტარული წყობილებაა და სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობს, პოლიტიკურ ძალაუფლებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან პარლამენტი ითვლება ძალაუფლების მოპოვების ერთადერთ საშუალებად. ამიტომაც გაიმარჯვებენ არა ისინი, ვისაც ხელეწიფება საკანონმდებლო მუშაობა, არამედ ისინი, ვისაც მეტი ძალა და გავლენა აქვს.

დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმის განსაჭვრეტად, რომ წარმოდგენილი წესით არჩეული პარლამენტი, მართალია ცნობილი ადამიანების კრებული იქნება, მაგრამ ფაქტობრივად უმოქმედო აღმოჩნდება და ვერ შეძლებს ვერც ერთი გადაწყვეტილების მიღებას. იგი გადაიქცევა მართლაც სალაყბოდ, სადაც თითოეული დეპუტატი, ერთმანეთთან არაფრით დაკავშირებული, თავისი განსწავლულობის გამომზეურებას შეეცდება.

უეჭველია ისიც, რომ ასე არჩეული პარლამენტი იმთავითვე დაიყოფა უამრავ წვრილ ფრაქციებად, რაც ძალზე გაართულებს მის მუშაობას. ყოველივე ეს ძალიან მალე შექმნის საპარლამენტო კრიზისს, რომლის გადაწყვეტის უაღრესად მწარე გამოცდილება ჩვენ უკვე გვაქვს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე პრინციპულად მცდარად მიმაჩნია მომავალი არჩევნების ჩატარება წარმოდგენილი დებულების მიხედვით და მიმაჩნია, რომ ამჟამად ჩვენთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელია არჩევნების ჩატარება პროპორციული საარჩევნო სისტემით პარტიული სიების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში ამომრჩეველი ხმას აძლევს არა პიროვნებას, არამედ გარკვეულ პროგრამა-კონცეფციას და იმ ადამიანთა ჯგუფს, რომელთაც იგი იცნობს იმდენად, რომ ისინი თავის სიტყვას შეასრულებენ.

ამ სისტემის სასარგებლოდ მრავალი არგუმენტის მოყვანა შეიძლება. მათ შორის:

1. პარლამენტის უმთავრესი ამოცანაა გარკვეული პერიოდისათვის ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრა, მან უნდა შეიმუშაოს და მიიღოს ერის განვითარების კომპლექსური პროგრამა, რომელიც მრავალი დარგის სპეციალისტთა კოლექტიურ შრომას მოითხოვს. ერთი პიროვნების მიერ ასეთი პროგრამის შექმნა პრაქტიკულად შეუძლებელია. იგი უნდა შექმნას ერთი ძირითადი იდეის ქვეშ გაერთიანებულმა ადამიანებმა. (ჯერ კიდევ პარლამენტში არჩევამდე) ადამიანთა ასეთი გაერთიანება და ორგანიზება მხოლოდ პოლიტიკურ პარტიას შეუძლია.

2. ნებისმიერი იდეის, როგორი გენიალური და გასაგებიც არ უნდა იყოს, განხორციელება თავისთავად არ ხდება. სახელმწიფო მექანიზმი მექანიკური აუცილებლობით არ მოქმედებს. უნდა არსებობდნენ ამ იდეით გატაცებული და დაინტერესებული ადამიანები, რომლებიც ხორცს შეასხამენ მას. ადამიანთა ასეთი მობილიზება კვლავ პოლიტიკურ პარტიებს ხელეწიფებათ.

3. პარტიული სიებით არჩევნების ჩატარება გაწმენდს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზს, ხელს შეუწყობს რამდენიმე (ჩვენი აზრით 3-5) ძლიერი პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებას, დაამკვიდრებს პოლიტიკურ პროფესიონალიზმს, აღკვეთს დილეტანტთა ბოგინს პოლიტიკაში.

4. ის ინტელიგენტები, რომლებსაც სურთ პოლიტიკური მოღვაწეობა, ერთხელ და საბოლოოდ გაარკვევენ, თუ სად დგანან და პოლიტიკურ პარტიებს შორის თავის არჩევანს მოახდენენ. ამით პოლიტიკური პარტიებიც გაძლიერდებიან და, რაც მთავარია, ბოლოს და ბოლოს შეწყდება მსჯელობა ეროვნულ მოძრაობაში და პოლიტიკაში ინტელიგენციის არმონაწილეობის შესახებ.

5. პროპორციული საარჩევნო წესით, პარტიული სიების მიხედვით არჩევნების ჩატარება გაცილებით მარტივია და საჭირო არ იქნება ფართო პროპაგანდისტული მუშაობა, თუ როგორ უნდა მისცეს ხმა ამომრჩეველმა. ხმების დათვლის მექანიზმიც აქ ბევრად უფრო მარტივია და გაყალბების ნაკლებ შესაძლებლობას ტოვებს.

6. პროპორციული წესით საარჩევნო სიების მიხედვით არჩევნების ჩატარება ბევრად ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს (არ იქნება დასაბეჭდი თითოეული დეპუტატობის კანდიდატის სააგიტაციო მასალა, არ იქნება საჭირო დეპუტატობის კანდიდატების ცალკეული შეხვედრები ამომრჩევლებთან, არ იქნება საჭირო საოლქო საარჩევნო კომისიები, დაიბეჭდება ერთი საარჩევნო ბიულეტენი და ა. შ.), ეს კი ჩვენი გაღატაკებული ხაზინისათვის არც თუ ისე უმნიშვნელო ფაქტორია.

პარტიული სიებით არჩევნების ჩატარების მოწინააღმდეგეებმა შეიძლება ის არგუმენტი წამოგვიყენონ, რომ შესაძლებელია, წინა არჩევნების მსგავსად, კვლავ ერთპარტიული პარლამენტი მივიღოთ, ეს არ მოხდება შემდეგი მიზეზების გამო:

1. „მრგვალი მაგიდის“ გამარჯვება განპირობებული იყო იმ პოლიტიკური სიტუაციით, რომელიც შეიქმნა ტოტალიტარულ რეჟიმთან რადიკალური ბრძოლის შედეგად. დღეს არსებულ არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ექნება ასეთი უპირატესობა.

ამასთან, როგორი პარადოქსიც არ უნდა იყოს ეს, წინა არჩევნებში რომელიც შერეული სისტემით ჩატარდა, „მრგვალმა მაგიდამ“ პროპორციული სისტემით მიიღო ხმების 53 პროცენტი, ხოლო მაჟორიტარული სისტემით ხმების 64 პროცენტი. ჩემს ოპონენტებს ვთხოვდი ამ ფაქტის აუცილებლად გათვალისწინებას.

2. შესაძლებელია შემოვიღოთ ქულების სისტემა, რომელიც ამომრჩეველს საშუალებას მისცემს მისთვის სასურველ პარტიულ სიებს შორის მოახდინოს დიფერენცირება, რაც გამორიცხავს ერთი პარტიის დიდ უპირატესობას.

ამ წესით არჩევნების ჩატარების დებულებას კი უახლოეს ხანში შევთავაზებთ საზოგადოებას.

23. 01. 92

თუ მინიმალურ დახმარებას მაინც გაგვიწევენ

რუსთავის ეკონომიკა კრიზისულ მდგომარეობაშია

დავით რამიშვილი,
საქინფორმის კორ.

რუსთავს ღრმა ეკონომიკური კრიზისის პერიოდი დაუდგა. ქალაქის თითქმის ყველა საწარმო ან საერთოდ არ მუშაობს, ან თავის შესაძლებლობებზე გაცილებით უფრო ნაკლები დონით მუშაობს. მეტალურგიულ ქარხანას ყოფნის ნედლეული, გაზი, ელექტროენერგია მხოლოდ იმისათვის, რომ არ გაჩერდეს ბრძმედები და მარტენები, იმიტომ რომ მათი გაჩერება მწყობრიდან სრული და საბოლოო გამოსვლის ტოლფასია, ახალი აგრეგატების მშენებლობა კი რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი დაჯდება. მარტენები და ბრძმედები უკვე აღარ ანთია, აღარ ანათებენ ქალაქსა და მის მიდამოებს ცეცხლის ენებით, ისინი ლამისაა ჩაიფერფლოს. თავიანთ შესაძლებლობათა მეოთხედზე ოდნავ მეტით მუშაობენ საწარმოს ძირითადი საამქროები, თითქმის მთლიანად შეწყვიტა მილების გლინვა და შეწყვიტა ურალის, ციმბირის, აზერბაიჯანის, სხვა ამ რესპუბლიკების მენავთობეთა და მეგაზეთა მნიშვნელოვანი შეკვეთების შესრულება, რომლებთანაც რუსთაველებს უაღრესად მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ. შეწყდა პროდუქციის მიწოდება საზღვარგარეთის ქვეყნებშიც, რაც ქარხანას უსპობს სავალუტო სახსრების შემოსულობას, რომელთა ნაწილი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მართვა-გამგეობამ, ღმერთმა უწყის რა მიზნებით გამოიყენა.

— შეგვიძლია ავანაზღაუროთ გაცდენილი, აღვადგინოთ რუსთაველთა ყოფილი სახელი, — თქვა მეტალურგიული ქარხნის მთავარმა ინჟინერმა რევაზ თხელიძემ, — თუ მინიმალურ დახმარებას მაინც გაგვიწევენ. ჩვენთვის გამოყოფილი გაზის, მაზუთის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებული ვართ მივაწოდოთ თბილისის სახელმწიფო-რაიონულ ელექტროსადგურს, რათა ქალაქის მოსახლეობა უზრუნველვყოთ ელექტრობითა და სითბოთი.

შეიძლება ითქვას, რომ ორ თვეზე მეტია არ მუშაობს ქიმიური ბოჭკოს ქარხნის კოლექტივიც, მისი პროდუქცია კი, ყველას მოეხსენება თუ როგორ სჭირდება ასობით საწარმოო გაერთიანებას, ქარხანას, ფაბრიკას, რომლებიც მსუბუქი მრეწველობის სისტემაში შედიან. გაცილებით უკეთ შეუძლია მუშაობა საწარმოო გაერთიანება „აზოტს“, რომელიც ოდესღაც საქართველოს ქიმიური მრეწველობის ფლაგმანად ითვლებოდა. აქაც დგება კაპროლაქტამის, ანონის, ანოლის, კარბამიდის, გვარჯილის, სხვათა საამქროები.

იფუშება ცემენტის, კოშკურა ამწეების, საგზაო მანქანების, ლითონკონსტრუქციების, საშენი მასალების, მრავალი სხვა სახეობის პროდუქციის მიწოდება, რომლებიც მხოლოდ რუსთავში მზადდება.

შეწყდა კოოპერატივების, მცირე საწარმოების ელექტრო და თბომომარაგება, გარდა იმ საწარმოებისა, რომლებიც სასურსათო პროდუქტებს უშვებენ. ისინიც მთელი სიმძლავრით ვერ მუშაობენ, ამიტომაც არის ცარიელი მაღაზიათა დახლები, ასეთი გრძელი რიგები პურისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინემატოგრაფში მაშინვე გამოჩნდება კაცის სინდის-ნამუსი...

ნაბოკოვი ძალზე პროფესიულად წერს, მაგრამ მისი ლიტერატურა ტანში მზარავს

ოთარ იოსელიანი

ესსე

პროფესიონალობა იმას ნიშნავს, რომ შენი ინსტრუმენტის დაკვრა იცოდე. მევიოლინემ ამისთვის 15-17 წელს ყოველდღიურად უნდა ივარჯიშოს, მხატვარმა ოცდახუთ-ოცდაათ წლამდე წვრთნას ხელი; იგივე შეიძლება ითქვას ზეინკალზე, რომელიც ურთულეს დეტალებს გამოქლიბავს, ხარატზეც, საერთოდ ყველაზე. ასეთ პროფესიონალიზმს საერთო არა აქვს რა ხელოვნებასთან, რადგან შეიძლება უსაზღვროდ გაიწაფო ხელოსნობაში, მაგრამ ცუდ მუსიკოსად, ცუდ მხატვრად დარჩე. რაც უნდა თქვან, შიშკინი თუ ვასნეცოვი ცუდი ფერმწერები იყვნენ, თუმცა თავიანთი ხელობა ჩინებულად იცოდნენ. ანდა, ვთქვათ, როდენი: ვერაფერი მოქანდაკეა, თუმცა, რაღა თქმა უნდა, დახვეწილი პროფესიონალია. მაიოლი კი თავისი უმარტივესი ტექნიკის მიუხედავად, დიდი მოქანდაკეა.

კინემატოგრაფი კი სწორედ იმით არის შესანიშნავი, რომ აქ პროფესიონალიზმი საჭირო არ არის. აქ საკმარისია კეთილსინდისიერი იყო. კეთილსინდისიერი — მასალის შერჩევაში, იმისადმი დამოკიდებულებაში, რაც ფილმს გადაგაღებინებს, რაზე იღებ და ვისთვის არის გათვალისწინებული, კეთილსინდისიერი — ჩანაფიქრის განხორციელებაში, ფილმის გაწყობაში, იმაში, რომ ნათლად იკითხებოდეს და კიდევ იმაში, რომ მიიტანო ადრესატამდე. ყოველივე ეს „პროფესიონალიზმის" ცნებაში ვერ ეტევა. რეჟისორის პროფესია კაცს შეიძლება რამდენიმე თვეში შეასწავლო, რთული არ არის. მაგრამ შეიძლება თუ არა კაცს ასწავლო გემოვნება, მსოფლმხედველობა, პატიოსნება? ყოველივე ეს ადამიანს ბავშვობაში, ის კი არა, დაბადებამდე უნდა შთაუნერგო — მთელი მისი წინაპრების, თორმეტი თაობის ცხოვრების მანძილზე.

ისეთი მარტივი ინსტრუმენტი, როგორიც კინემატოგრაფია, საშუალებას გვაძლევს მყისიერად განვსაზღვროთ, აქვს თუ არა კაცს სინდისი. ძნელია მუსიკალურ ნაწარმოებზე თქვა, უსინდისოაო. საეჭვოა ასეთი მიდგომა ფერწერული ტილოსადმი. შეგვიძლია ვთქვათ: ცუდია, კარგია, სიმპათიურია, ურიგო არ არის. მაგრამ ვერ იტყვი, უსინდისოაო. აი, რაც შეეხება ლიტერატორისა თუ კინემატოგრაფისტის პროფესიას, აქ ნამდვილად ვერ შეცდები, ყველაფერი ხელისგულზეა.

არა მგონია, რომ ნამდვილი მწერლისთვის კომპლიმენტი იყოს: „პროფესიულად წერსო". ნაბოკოვი ძალზე პროფესიულად წერს, მაგრამ მისი ლიტერატურა ტანში მზარავს: ეს წმინდა წყლის სიტყვების თამაშია. აი, როცა პუშკინს, ან ტოლსტოის „ჰაჯი-მურატს" ვკითხულობ (თუმცა, ზოგჯერ, ისიც სცოდავდა სიტყვების თამაშით, მაგრამ ამ ნაწარმოებში დიდ სისადავეს მიაღწია და ღრმად ჩასწვდა იმას, თუ საერთოდ რისთვის არსებობს ლიტერატურა), ანდა, ავიღოთ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა", აქ ვერავითარ პროფესიონალიზმს ვერ გრძნობ: ხალხი თავის საქმეს აკეთებს, მორჩა და გათავდა. მათ არ სჭირდებათ თავიანთი ვირტუოზობის დემონსტრირება.

ჩინებული ვირტუოზი იყო, მაგალითად, ლისტი, და მისი ნაწარმოების დაკვრა მხოლოდ ძალზე დახვეწილ პიანისტებს ხელეწიფებათ, მაგრამ ამასთანავე იგი ფრიად საშუალო მუსიკოსი იყო. ასეთი შემთხვევები იშვიათი არ არის, არიან მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ოსტატები, რომლებიც ბრწყინვალედ ფლობენ ტექნიკას, მაგრამ ეს ვერ ფარავს მათს სულიერ სიღატაკეს. და კიდევ, მუდამ უნდა გახსოვდეს, ვის ემსახურები ხელოვანო — ღმერთსა თუ სატანას. დიახ, ძლიერია თავის ფილმებში ბერგმანი, სატანისეულად ძლიერი. მაგრამ მისი ამოცანები უსირცხვილოა, მათი მიზანი ნგრევაა. ახლა კი, როცა ბოროტების ვულკანის პირს მივადექით, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანურ ურთიერთობათა სტრუქტურის შენარჩუნებას. რამდენ საუკუნეს არსებობდა კაცობრიობა! რა მწარე გამოცდილების ფასად გამოიმუშავა ერთად ცხოვრების, სამყაროს შეცნობის, სულის შენარჩუნების უნარის ყველა წესი! ახლა კი ადამიანის სული ინგრევა. სატანა იმარჯვებს.

ცხადია, ხელოვანთა ფუნქციებიც განსხვავდება ერთმანეთისგან: ეტყობა, შემთხვევითი არ იყო, რომ შუა საუკუნეებში კათოლიკური ეკლესია ანათემას გადასცემდა ხოლმე მსახიობებს, რადგან თვით სახიობა, სხვა ადამიანად გარდასახვა, ანგრევს სულს. შესაძლოა ისიც ცოდვა იყოს, რომ საკუთარ მიკროსამყაროს ქმნი და იმის პრეტენზია გაქვს, რომ შენ დემიურგი ხარ ამ მიკროსამყაროში. და მაინც, სულ ერთი როდია, თუ სამყაროს როგორ მოდელს სთავაზობ შენს სამწყსოს, რას ასწავლი — სიკეთეს თუ ბოროტებას.

ერთხელ [illegible]

მერე გადავიღე ფილმი ყვავილებზე. ბალახი, ყვავილები — მარხავენ, მიწას, შემდეგ ხრეშს აყრიან, ასფალტს აგებენ. მერე ასფალტი იბზარება და სინათლისკენ იკაფავს გზას ბალახი.

„გასაგებია, — მითხრეს მე, — ასფალტი საბჭოთა ხელისუფლებაა". „რატომ-მეთქი. — ეს უბრალოდ ასფალტია". მაგრამ მათ იმთავითვე აკვიატებული აქვთ იდეა, რომ ეს წყობა რეაქციულია, სულ ერთია, ვერ გადარჩება.

მერე იყო „თუჯი", ორ ნაწილად. არც აქ გახლდათ რაიმე განსაკუთრებული. უბრალოდ, ნაჩვენებია ერთი ცვლა. ხალხი მუშაობს, წელს იწყვეტს, მოედინება თუჯი. მძიმე ხელის სამუშაოა. გახურებული, ხმაურიანი საამქრო. ერთი სიტყვით, სახალისო არაფერია. არ ჩანან მეფოლადენი, რომლებიც შთაგონებული სახით და ღიმილით ყრიან წიდას. „რატომ გამოიყურებიან ასე?" — მეკითხებიან მე. „რაო? — ვპასუხობ. — ხალხი მუშაობს, დაიღალა".

მერე გადავიღე ფილმი „ძველი ქართული სიმღერა", ხუთ ნაწილად. ესეც აკრძალეს. მე ვქადაგებ იმას, რომ ქართული სიმღერა — ეს კულტურაა, ეს სკოლაა. ამას სწავლა უნდა ძალზე დიდხანს. ყოველგვარი ფოლკლორის ამღერება ვერ ხერხდება. პოკროვსკის ანსამბლი ვერ იმღერებს რთულ ინდურ სიმღერას, ვერ იმღერებს ქართულს, და მთელი ეს კულტურა კვდება, კვდება იმიტომ, რომ ვინღა მღერის ამ სიმღერებს? მოხუცები, რომლებიც რაღაც სასწაულით ჯერ კიდევ შემორჩნენ, ჯერ არ დაუკარგავთ ეს ტრადიცია. მე ვუჩვენებდი, რა სხვადასხვა ხმებით იქმნება, იწნება ეს პოლიფონია. მერე კი ვუჩვენებდი, თუ რას შვრებიან კომპოზიტორები, რომლებიც ძარცვავენ ამ ტრადიციას. არის „მძლავრი ხროვის" ასეთი თეორია, რომ სიმფონიური მუსიკა ხალხურ სიმღერას უნდა ეფუძნებოდეს. ჰოდა, მერე ნაირნაირი ფალიაშვილები ამგვარი მეთოდიკით ოპერებს წერენ. ამ გზას აძლევენ ეროვნულ კულტურას. შემდეგ მათს თხზულებებს ფრაკიან-პეპლებიანი სოლისტები და გუნდები ასრულებენ, ოღონდ ყოველივე ეს ათჯერ უფრო პრიმიტიულია, ვიდრე ხალხური სიმღერა. ამიტომ მხოლოდ სასაცილოა.

და კიდევ ვუჩვენე, რად აქცევენ ხალხურ სიმღერას საესტრადო ანსამბლები! რას უშვრებიან! მე ფილმში მაყურებელს ვუხსნიდი, რატომ ქრება ეს კულტურა, და ამისთვის რადიოსა და ტელევიზიაში გადავიღე ეპიზოდები იმის თაობაზე, თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები როგორ ავრცელებენ საესტრადო სიმღერას. გადავიღე სოფლელი ბიჭები, რომლებიც გიტარას უკვე ისე უკრავენ, როგორც რადიომ და ტელევიზიამ ასწავლა. ანდა, რას შვრებიან სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების ხელმძღვანელები! ტექნიკუმების საგუნდო-სა- [illegible] ნაგებს რათა ეჩვენებინა, თუ რა სისაძაგლეს ურიგდება არსებული ხელმძღვანელობა. „აი, ხედავთ, — კომენტარს უკეთებდა ეკრანს, — მდინარე მიედინება (ენგური გვქონდა გადაღებული). ვიწრო ხეობაა. გესმით, რას ნიშნავს ეს სიმბოლო? კლდეებში მომწყვდეული ხალხის მძლავრი სული". მერე კადრში კამეჩები გამოჩნდა. უყვართ ლაფში, გუბეებში წოლა. სწორედ ასე გადავიღეთ. იგი განმარტავს: „ხედავთ, ყელამდე ნეხვში არიან, აჰა რა ეშმაკი რეჟისორია! როგორ სიმბოლოებს უჩვენებს!".

საინტერესო ის არის, რომ ყველა ისე განმარტავს, როგორც მოსწონს. „გიორგობისთვეში" ღვინის კასრი გვქონდა, № 49. ის-ის იყო იზეიმეს საბჭოთა ხელისუფლების ორმოცდაათი წლისთავი. „ხედავთო, — ამბობს, — რაზე გადაგვიკრაო. წითელი ღვინოა, თანაც გაფუჭებული". მხოლოდ მაგათი ტვინი თუ შობდა ასეთ რამეს.

„იყო შაშვი მგალობელი" აკრძალეს, დადებითი გმირი უსაქმურიაო. როგორ მიხვდით-მეთქი?, ვეკითხები, „სიმპათიას იწვევს და მისაბაძად შეიძლება ცუდი მაგალითი გახდესო".

„პასტორალი" იმიტომ აკრძალეს, თუმცა მასში ვერავითარი „ანტი" ვერ იხილეს, მაგრამ ვერც დროების ნიშანი იგრძნეს. „გაუგებარია, როდის ხდება ეს?" — რა თქმა უნდა ახლა, — ვეუბნები მე. — როდის უნდა მოხდეს? კოლმეურნეობას ვერ ხედავთ?". არაო, კოლმეურნეობა ასე არ უნდა უჩვენოო. რატომ არის მარტო ერთი ტელევიზორი, ისიც გატეხილი? დილ-დილობით ფოსტალიონი რატომ არ მოდის და თუნდაც ღობეზე არ შემოსდებს გაზეთებს? მათი შინაგანი პროტესტი მომდინარეობდა სტილისტიკიდან, რომელსაც ვერა და ვერ შეეწყვნენ. სწორედ ამიტომ ელანდებოდათ სიმბოლოები, რომელიც თავში არავის მოუვიდოდა...

სხვათა შორის, მიდის დრო და ხვდები, რომ კაცს პირველად თავში ზერელე და უაზრო იდეები მოსდის. რაგინდ პარადოქსულადაც უნდა გეჩვენოთ, რაც უფრო ნეიტრალურია სოციალურ-საჭირბოროტო თვალსაზრისით მასალა, რომელსაც ხელს ჩასჭიდებ, მით უფრო ღრმა და ტევადი აღმოჩნდება ხოლმე იგი.

უცნაურია: როგორც კი უარს იტყვი ამწუთიერი მოვლენის გამოხმაურებაზე, უფრო სრულად და არსებითად გამოხატავ არსს.

ყოველი ფილმი დღიურის ჩანაწერს უფრო ჰგავს.

კრიტიკოს ალექსანდრე ლიპკოვის წიგნიდან „პროფესია თუ მოწოდება?", რომელსაც ამ დღეებში გამოუშვებს კინოცენტრის გამომცემლობა.

—პარიზი.

„ნეზავისიმაია გაზეტა" 1992 წ. 25 იანვარი.

განსაკუთრებული ნიშანი ექნება...

ბელარუსის მთავრობაში დაიწყო რესპუბლიკის ფულად ბრუნვაში მანეთის შემოღების საკითხის დამუშავება, რომელსაც განსაკუთრებული ნიშანი ექნება — წარწერა „ბელარუსი" თითოეული სახაზინო ბილეთის ერთ-ერთ მხარეზე.

როგორც საქდესის კორესპონდენტისთვის მთავრობის წყაროებიდან გახდა ცნობილი, მოსკოვს გაემგზავრა ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრაზე იმუშავებს. რადგან 1992 წლის მარტში ბელარუსში ვადა გაუდის „ერთჯერადი" კუპონების სისტემის მოქმედებას, გამორიცხული არ არის, რომ უკვე აპრილიდან აქ გამოიყენებენ „ნიშნიან მანეთებს".

მატულობს ფასები

მოსკოვი, 23 იანვარი. **(საქდესის კორ. გალინა სუგაკი).** მოსკოვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის ფასის დაპირებული მომატება დაიწყება 1 მარტიდან. ყოველნაირი ტრანსპორტით მგზავრობა ეღირება 50 კაპიკი.

როგორც საქდესის კორესპონდენტს აცნობა მოსკოვის მთავრობის ფასების სამმართველოს უფროსმა ალექსანდრე კოროლკომ, ერთიანი სამგზავრო ბილეთის ფასი მიაღწევს 60 მანეთს, ერთი სახეობის ტრანსპორტზე — 20-მდე მანეთს. მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის ერთიანი ღირებულება იქნება 10 მანეთი, ერთი სახეობის ტრანსპორტზე — 9 მანეთი. ეს იმასთან არის დაკავშირებული, რომ მოსკოვის საქალაქო ტრანსპორტის შემოსავალი შეადგენს 280 მილიონს დოტაცია — 3 მილიარდ 197 მილიონ მანეთს. მოქმედი ტარიფების მომატებით საქალაქო ბიუჯეტიდან დოტაცია მილიარდი მანეთით შემცირდება.

გაჩნდა რეალური ციფრიც, რომელიც მიგვანიშნებს კომუნალური მომსახურების ფასის ოდენობას. იმ პირობით, რომ ბინის ქირა იგივე დარჩება, ერთ სულზე გათბობის, ცივი და ცხელი წყლის, ელექტროენერგიის, რადიოწერტილის, ტელეფონის, გაზის ღირებულება იქნება 12-16 მანეთი.

პრესტიჟული პრემია

100 ათას დოლარს მიიღებს ალექსანდრე ონასისის ფონდის პრესტიჟული საერთაშორისო პრემიის თითოეული ლაურეატი. მათი სახელები დღეს გამოაცხადეს პრესკონფერენციაზე.

ლაურეატთა შორის არიან ევროპის გაერთიანებათა კომისიის თავმჯდომარე ჟაკ დელორი, ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი გრუ ჰარლემ ბრუნტლანდი, ამერიკის ტელეკომპანია სი-ენ-ენი და მეხიკოს ანთროპოლოგიისა და ისტორიის ეროვნული მუზეუმი, პრემიები მიენიჭათ აქტუალური პოლიტიკური პრობლემების გადაჭრისათვის, კულტურის განვითარების, გარემოს დაცვის ხელშეწყობაში დიდი დამსახურებისათვის.

ალექსანდრე ონასისის ფონდი 1975 წელს შექმნა უმდიდრესმა ბერძენმა გემთმფლობელმა არისტოტელე ონასისმა ავიაკატასტროფაში ტრაგიკულად დაღუპული თავისი ვაჟის ალექსანდრეს ხსოვნის აღსანიშნავად. მას შემდეგ ყოველ წელიწადს ფონდის პრემიებს გადასცემენ თვალსაჩინო პოლიტიკოსებს, საზოგადო მოღვაწეებს, აგრეთვე კულტურის დაწესებულებებს. პრემიის ლაურეატი იყო სახელმწიფო ერმიტაჟი. როგორც საქდესის კორესპონდენტმა შეიტყო, შარშან ფონდმა ოქროს მედალი მიანიჭა სსრ კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს, რომლის გადაცემას მისთვის აპირებდა მოსკოვში საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის კონსტანტინოს მიცოტაკისის ვიზიტის დროს. მაგრამ საბჭოთა მხარემ უკანასკნელ მომენტში რატომღაც უარი თქვა ამ ცერემონიაზე და მედალი გადაუცემელი დარჩა.

მიიღეს ციმბირული გაზი

სტამბოლის მცხოვრებთა სახლებში უკვე მიდის ციმბირული ბუნებრივი გაზი. გასულ კვირას ქალაქის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ რაიონში გაიმართა გაზით მომარაგების საქალაქო ცენტრალური სისტემის პირველი რიგის საზეიმო გახსნა.

ცერემონიაზე გამოსვლისას სტამბოლის მერმა ნურეთინ სოზენმა ამ დღეს ისტორიული უწოდა. „გაზიფიკაცია, — თქვა მან, — იხსნის სტამბოლელებს ჰაერის გაჭუჭყიანებისგან, მისცემს მათ იაფ საწვავს და გაუთბობს ბინებს". როგორც მერმა თქვა, ქალაქის მთლიანად გადაყვანა გაზზე შესაძლებელი იქნება მომავალი წლის აპრილისათვის.

თითქმის ორი წლის წინათ 7-მილიონიან სტამბოლში დაიწყო სამუშაოები ქალაქის გაზიფიკაციის მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი პროექტის განსახორციელებლად. მისი საორიენტაციო ღირებულება 300 მილიონ დოლარს აღემატება. ბუნებრივი გაზის სანაცვლოდ თურქეთი რუსეთს აწვდის ფართო მოხმარების საქონელს, აწარმოებს სამშენებლო სამუშაოებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვადასხვა რესპუბლიკაში. გაზის მოწოდების ნაწილს მტკიცე ვალუტით იხდიან.

სტამბოლი ანკარის შემდეგ თურქეთის მეორე ქალაქია, რომელიც ციმბირის ბუნებრივ გაზზე გადავიდა. მომდევნო ქალაქი იქნება ბურსა.

კონფერენცია ვაშინგტონში

„შეერთებული შტატების კერძო ბიზნესს შეუძლია შეასრულოს დიდმნიშვნელოვანი როლი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ხალხებისათვის საჭირო ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების გაწევაში", ასეთი აზრი გამოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის პირველმა მოადგილემ ლოურენს იგლბერგერმა მისალმებაში, რომელიც გაუგზავნა ხუთშაბათს ვაშინგტონში დამთავრებულ ამერიკის 200-ზე მეტი საქველმოქმედო ორგანიზაციის წარმომადგენელთა კონფერენციას, რომელიც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისათვის დახმარების გაწევას მიეძღვნა.

მისალმებაში გამოთქმულია იმედი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კერძო ბიზნესი მჭიდროდ ითანამშრომლებს ფედერალურ უწყებებთან „ჰუმანიტარულ და ტექნიკურ ხელშეწყობაში თანამეგობრობის მოსახლეობის გადაუდებელ საჭიროებათა დაკმაყოფილების" საკითხში. იგლბერგერმა აგრეთვე აღნიშნა სამოქალაქო დემოკრატიისათვის მებრძოლი კორპუსის, რომლის ეგიდითაც გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების საქველმოქმედო ორგანიზაციათა ფორუმი, დიდი წვლილი „სსრ კავშირის ყოფილი რესპუბლიკებისათვის კონკრეტული ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარების გაწევისათვის ყველა ამერიკელის ძალისხმევის მობილიზაციის საქმეში".

კონფერენციის განსახილველ მთავარ თემებს შორის იყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მოსახლეობის საჭიროებათა დაკმაყოფილება კვების პროდუქტებსა და მედიკამენტებზე, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება და ხელშეწყობა საბაზრო ეკონომიკაზე თანამეგობრობის წევრთა გადასვლაში. „იმთავითვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისათვის დახმარების გაწევის ჩვენი გეგმები ეფუძნებოდა იმას, რომ აუცილებელია შეერთებული შტატების სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობა, — განაცხადა დისკუსიის დროს ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ენ ვენემანმა. — ჩვენი შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით ამერიკის შეერთებული შტატების ჰუმანიტარული დახმარების მიზანმიმართულებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთი დახმარება უთუოდ სჭირდება სომხეთს, ურალს, რუსეთის ჩრდილო და აღმოსავლეთ ნაწილის ზოგიერთ ქალაქს, აგრეთვე შუა აზიის ცალკეულ რესპუბლიკებს".

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სამმართველოს თავის მოვალეობად მიაჩნია გამოიყენოს მთელი მისი შესაძლებლობანი იმისათვის, რომ „ჰუმანიტარული დახმარება გაუწიოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ყველაზე გაჭირვებულ რეგიონებს", თქვა სამმართველოს დირექტორმა რონალდ როსკინსმა. „ამერიკის შეერთებული შტატების კერძო ბიზნესი მზად არის დახმარება გაუწიოს რუსეთისა და საერთოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ხალხებს მისთვის ამ ძნელ მომენტში", — თქვა მოსკოვს წარგზავნილმა შეერთებული შტატების ყოფილმა ელჩმა არტურ ჰარტმანმა. — ასეთი დახმარება, ჩემი აზრით, უდავოდ, ხელს შეუწყობს საბაზრო ურთიერთობაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის გადასვლის პერიოდში უდიდეს სიძნელეთა დაძლევას.

მსოფლიოს საგენტოები
ამ ტრიალ ქვეყანაზე
გვატყობინებენ

მუთალიბოვის ვიზიტი თურქეთში

ანკარა, 23 იანვარი. (საქდესი). დღეს აქ ოფიციალური ვიზიტად ჩამოვიდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი აიაზ მუთალიბოვი. ორი მეზობელი ქვეყნის სახელმწიფო დროშებით მორთულ საერთაშორისო აეროპორტში მას დახვდა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი თურღუთ ოზალი.

დღეს ნაშუადღევს დაიწყება აზერბაიჯან-თურქეთის მოლაპარაკება: ა. მუთალიბოვი ეწვევა პრეზიდენტ თ. ოზალს და გაიმართება მისი შეხვედრა თურქეთის პრემიერ-მინისტრთან სულეიმან დემირელთან.

სამდღიანი ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებულია სამრეწველო საწარმოთა დათვალიერება, შეხვედრები საქმიანი წრეებისა და აზერბაიჯანული დიასპორის წარმომადგენლებთან. მოსალოდნელია აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ხელმოწერა.

უზბეკეთის პრეზიდენტის ისლამ ქარიმოვის ინტერვიუ

მოსკოვი, 23 იანვარი. (საქდესი). უზბეკეთის პრეზიდენტის ისლამ ქარიმოვის აზრით, რესპუბლიკის დედაქალაქ ტაშკენტში სტუდენტთა ამასწინანდელი მღელვარებანი „იმ პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელებაა", რომელიც რესპუბლიკაში მიმდინარეობდა ჯერ კიდევ პრეზიდენტის არჩევნებამდე, მის დროს და მის შემდეგ.

„სოვეტსკაია როსიასთვის" მიცემულ ინტერვიუში, რომელიც დღეს გამოქვეყნდა, ქარიმოვმა თქვა, რომ ახლა ტაშკენტის სტუდენტთა ქალაქში ვითარება მთლიანად ნორმალიზებულია. „არეულობათა დროს დაპატიმრებულები (იმათ გარდა, ვისაც იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებანი ჰქონდა) განთავისუფლებული არიან. სტუდენტები 10 თებერვალს შეუდგებიან მეცადინეობას".

ქარიმოვი შეეხო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მომავალს და აღნიშნა, რომ, მისი აზრით, იგი უნდა იღებდეს გადაწყვეტილებებს კოლექტიურად, აწონ-დაწონილად, შეწყნარებლობის ვითარებაში. „თუ ეს პრინციპი შესრულდა, რაც მაინც დიდად არის დამოკიდებული რუსეთზე, რომლის პრიორიტეტსა და ავტორიტეტსაც ჩვენ ვცნობთ, — თანამეგობრობა იცოცხლებს. თუ არადა, იგი დიდხანს ვერ იარსებებს", ხაზგასმით აღნიშნა მან.

სურათზე: ლატვის რესპუბლიკის ახალი ფული ლატები, რომლებიც მოსახლეობის [illegible] „ბალტიკებს" უწოდებენ.

(ლეტა-საქდესის ფოტოქრონიკა).

რამდენიმე

სტრიქონით

გუშინ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრს მიტო ვატანაბეს უნდა შეხვედროდა. ადრე ვატანაბემ ტოკიოში განაცხადა, რუსეთისადმი ფინანსური დახმარება კურილიის კუნძულების პრობლემის გადაწყვეტასთან იქნება დაკავშირებულიო. შეხვედრა არ გაიმართა. „მოსკოვის რადიოს მსოფლიო სამსახურის" ცნობით ამის ორი მიზეზი არსებობს: ელცინი შესაძლოა ავად არის ან მას არ სურს მოსკოვში გახსნილ ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლა. სხვა წყაროებით ელცინი მოსკოვიდან გაემგზავრა, ამიტომ მისი დაგეგმილი შეხვედრა შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჯეიმს ბეიკერთან გადაიდო. ეს შეხვედრაც ორშაბათს იყო გათვალისწინებული.

ტოკიოდან იუწყებიან, რომ იაპონიის მთავრობამ გადაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს ბელარუსიასთან, უკრაინასთან, ყაზახეთთან, ყირგიზეთთან და უზბეკეთთან, რამდენიმე დღის წინ გაეროს უშიშროების საბჭომ გენერალურ ასამბლეას რეკომენდაცია მისცა თავის რიგებში მიიღოს ყაზახეთი. ახლა დღის წესრიგშია ამ ორგანიზაციაში კიდევ რამდენიმე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მიღების საკითხი.

„მოსკოვის რადიოს მსოფლიო სამსახური" იუწყება, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთი დაჯგუფების ჯარების სარდალმა ვიქტორ დუბინინმა თქვა, რომ პოლონეთის ტერიტორიიდან ჯარების გამოყვანა მალე დასრულდებაო. იგივე რადიოსადგური იუწყება, მოსკოვში დაწყებულ ისრაელ-არაბეთის ქვეყნების სამშვიდობო კონფერენციის მე-2 ეტაპს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ იასირ არაფატის თავკაცობით ბოიკოტი გამოუცხადაო.

რადიო „თავისუფლება" იუწყება, რომ ბულგარეთმა ცნო იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკის მაკედონიის დამოუკიდებლობა. მაკედონიაში ბულგარული ენის ერთ-ერთ დიალექტზე საუბრობენ. მაკედონიის მიმართ გარკვეული ისტორიული პრეტენზიები საბერძნეთსაც აქვს. უფრო ადრე იუგოსლავიის ორი რესპუბლიკა სლოვენია და ხორვატია ცნო ევროპის თანამეგობრობაში შემავალმა ქვეყნებმა და კიდევ რამდენიმე სახელმწიფომ, მათ შორის ვატიკანმაც.

კანადის საგარეო საქმეთა მინისტრი მაკ დუგალი კიევში ჩავიდა, რათა დაესწროს კანადის სახელმწიფოს მიერ უკრაინისათვის გაწეული სასურსათო დახმარების გადაცემის საზეიმო ცერემონიალს.

ოფიციალურმა ანკარამ განაცხადა, რომ თურქეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებს სლოვენიას, ხორვატიას, ბოსნია და ჰერცოგოვინას და მაკედონიას. ადრე ანკარამ როგორც ცნობილია დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნო ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა

პოლიტიკა, რომელსაც წარსულში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებდა მიზნად არ ისახავდა ვინმეს დამცირებას, ის, რომ იგი ადამიანებს ტკივილსა და შეურაცხყოფას აყენებდა, არ ყოფილა წინასწარ განზრახული და ჩვენ ვნანობთ ამას. ასეთი შეფასება მისცა თითქმის დაშლილ აპარტეიდის სისტემას სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტმა ფრედერიკ დე კლერკმა ეს-ეი-ბი-სი ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში.

მთელი ჩემი პოლიტიკური კარიერის მანძილზე მე არც ერთხელ არ გამომიყენებია სიტყვა „აპარტეიდი" დადებითი მნიშვნელობით, თქვა მან. მე ვიცავდი არა აპარტეიდს, არამედ ცალკე განვითარების პოლიტიკას. მისი არსი ის იყო, რომ შეგვექმნა სისტემა, რომლის დროს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი შეძლებდა არსებობას საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოთა ფარგლებში. ეს არ გამოვიდა და, როგორც ახლა ნათელი გახდა, ვერც გამოვიდოდა. წარსულის დავიწყება შეუძლებელია, მაგრამ საჭიროა მიტევება, რათა ვიყუროთ წინ და ვიმუშაოთ ერთად, თქვა მან.

ულან-ბატორში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ მონღოლეთმა და ყაზახეთმა დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს. ასეთივე კავშირი დაამყარეს ჩინეთმა და ბელარუსიამ.

ასოშიეიტიდ პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში მოლდოვეთის პრეზიდენტმა მირჩა სნეგურმა განაცხადა, მოლდოვეთის რუმინეთთან სწრაფი გაერთიანება, რასაც ორივე ქვეყნის გარკვეული წრეები ესწრაფვიან, არასასურველ შედეგებს გამოიწვევსო.

ბელარუსიის ოპოზიცია რეფერენდუმის გზით ითხოვს ქვეყნის პარლამენტისა და მთავრობის დათხოვნას. ამისათვის საჭიროა 350 ათასი ხელმოწერის შეგროვება. ოპოზიცია პარლამენტსა და მთავრობას უეფექტო ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში ადანაშაულებს.

უკრაინა-რუსეთის ურთიერთობის გზაზე ახალი სირთულე წარმოიშვა. რუსეთის პარლამენტმა ხმების უმრავლესობით მიიღო დეპუტატთა ფრაქციების „სამშობლოს" და „რუსეთის" წინადადება, პარლამენტის სხდომაზე განიხილონ 1954 წელს ხრუშჩოვის მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის რუსეთის ფედერაციიდან უკრაინის შემადგენლობაში გადაცემის კონსტიტუციურობის საკითხი.

ლატვიის რესპუბლიკის პარლამენტმა უკანონოდ ცნო 1944 წელს ლატვიის ტერიტორიის, აბრენის მაზრის, რუსეთის ფედერაციისათვის გადაცემა და ეს აქტი ანექსიად შეაფასა. შეგახსენებთ, რომ ქალაქი აბრენი მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძია და ამჟამად ფსკოვის ოლქის შემადგენლობაშია.

გაზეთმა „იზვესტიამ" მიმდინარე წლის 26 იანვარს დაბეჭდა ელენე ბონერის სტატია „დაეხმარეთ ელცინს", სადაც ავტორი დასავლეთს მოუწოდებს ცნოს ყარაბაღის დამოუკიდებლობა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციასთან შეერთება. ამავე დროს ელენე ბონერი მიესალმა დასავლეთის მიერ სლოვენიისა და ხორვატიის დამოუკიდებლობის აღიარებას.

იაპონიასა და რუსეთს შორის ახალი სატელეფონო კაბელის გაყვანას აპირებს საერთაშორისო კონსორციუმი რუსეთის, იაპონიის, სამხრეთ კორეისა და დანიის კომპანიების მონაწილეობით. როგორც კორპორაცია „კეი-დი-დიმ" გამოაცხადა, ტოკიოში გაიმართა პროექტის მონაწილეთა პირველი სამუშაო შეხვედრა, რომელზეც ფინანსური საკითხები განიხილეს.

1990 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირი დატოვა 70 ათასმა სპეციალისტმა. სპეციალისტთა აზრით ეს პროცესი განსაკუთრებით წელს განვითარდება. ამჟამად ათასობით ადამიანი მიმართავს დასავლეთის კვლევით ცენტრებს და უნივერსიტეტებს თხოვნით სამუშაოზე მიღების შესახებ. შეერთებულ შტატებში სამუშაო უკვე მიიღო ათობით საბჭოთა აკადემიკოსმა.

დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატის სპიკერის მოადგილემ კაროლინა კოქსმა მოსკოვში სომხეთის წარმომადგენლობაში მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ თუ რადიკალური ზომები არ იქნა მიღებული, მოსალოდნელია აზერბაიჯან-სომხეთის დიდი ომი.

24 იანვარს რიგაში გაიხსნა ბალტიისპირეთის სახელმწიფოების ასამბლეის მორიგი სესია. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, აგრეთვე ქალაქების კალინინგრადისა და სანკტ-პეტერბურგის წარმომადგენლები. შეხვედრის დროს უმთავრესად ეკონომიკურ საკითხებს განიხილავდნენ.

რუსეთის შემნახველი ბანკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ოლეგ იაშინმა უარყო ჭორები, თითქოს რესპუბლიკაში განზრახული იყოს ფულის რეფორმა. რამდენიმე დღის წინ გაზეთ „პრავდის" კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, ფულის რეფორმისათვის ახლა ეკონომიკური წანამძღვრები არ არსებობსო.

ბიშკეკი, 22 იანვარს 4 საათსა და 32 წუთზე ყირგიზეთში მოხდა მიწისძვრა, რომლის ძალა ეპიცენტრში 4-5 ბალი იყო. როგორც რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სეისმოლოგიის ინსტიტუტში განაცხადეს, მისი კერა მდებარეობდა ქალაქ ყარაკოლის ჩრდილო-დასავლეთით 40 კილომეტრზე, უზურ-აკმატ-ტოოს ქედის რაიონში. ქალაქ ყარაკოლში იგრძნობოდა 3-4 ბალიანი მიწისძვრის ბიძგები. წინასწარი მონაცემებით, მსხვერპლი და ნგრევა არ არის.

კიშინიოვი, 23 იანვარი. (მოლდოვაპრეს-საქდესის კორ.). ცხარე კამათი გაჩაღდა მოლდოვის რესპუბლიკის პარლამენტში ეროვნული ფულადი ერთეულის შემოღების თაობაზე. იყო წინადადება ეროვნულ ფულად ერთეულად შემოეღოთ რუმინული ლეი, რადგან მოლდოვა მაინც მალე უნდა შეუერთდეს რუმინეთს.

დნესტრისპირეთისა და გაგაუზეთის მთელი რიგი დეპუტატები კატეგორიულად ილაშქრებენ ფულადი ერთეულის სახით ლეის შემოღების წინააღმდეგ. მათი მთავარი არგუმენტია ის, რომ მოლდოვის პარლამენტის მიერ ლეის მიღების შემთხვევაში დნესტრისპირეთი და გაგაუზია მას უარყოფს.

მოლდოვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მირჩა სნეგურმა დღეს განაცხადა, რომ ეროვნული ფული მოწმობს მოლდოვის დამოუკიდებლობას, რომელიც უკვე ცნო მსოფლიოს 80-ზე მეტმა სახელმწიფომ. მან აღნიშნა, რომ საკუთარი ფულის მომხრეა, რომლის შემოღების საკითხი წინასწარ შეიმუშავეს მოლდოვის რესპუბლიკის მთავრობამ და პარლამენტის პრეზიდიუმმა.

რამდენიმე

სტრიქონით

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა ● ფაქტი ● კომენტარი

მშვიდობიანი გამოსავალი ყოველთვის შესაძლებელია

ლარისა ხუბულური.

ინტერვიუ სანთლის შუქზე

— „ინტერვიუ სანთლის შუქზე“ — შემთხვევით არ შემირჩევია წერილის ქვესათაურად. თბილისის ძველ უბანში, მეტეხის ალმართზე პატარა სასტუმროს რომ ვეწვიე, სადაც იტალიაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე, ბაგრატოვანთა სამეფო გვარის შთამომავალი ქეთევან ბაგრატიონი ცხოვრობდა, სინათლე გამოთიშული იყო და უფლისწულს სანთლის შუქზე გავეცანი.

დღეს თბილისში ელექტროენერგიის გამოთიშვა და მთელი უბნების ჩაბნელება ჩვენი ცხოვრების წესად იქცა, მაგრამ ძვირფასი სტუმარი ამ ყოფაში რომ ვნახე, მით უმეტეს გათბობაც რომ არ იყო, თავი უხერხულად ვიგრძენი და პირველი შეკითხვაც ასეთი დამებადა.

— საქართველოს მეორე, მსოფლიო ომის შემდეგ ასეთი მძიმე მდგომარეობა არ ჰქონია, არც პოლიტიკურად და არც ეკონომიკურად, ბატონიშვილო, როგორ გრძნობთ თავს, ჩვენი ქვეყნის ამ ძნელბედობის ჟამს როგორ გაბედეთ აქ ჩამოსვლა, და იქნებ ჩამოსვლის მიზანიც გვითხრათ?

— როგორც კი თბილისში ჩამოსვლის საშუალება მომეცა, იტალიიდან საქართველოში გამოვემგზავრე. არ შემეძლო ამ უბედურების ჟამს ჩემს სამშობლოში არ ვყოფილიყავი. ჩამოსვლისთანავე მიზნად დავისახე, შეძლებისდაგვარად, ხელი შემეწყო კრიზისიდან მშვიდობიანი, უსისხლო გამოსავლის მოძებნისთვის.

— ხალხი დაიღალა ამდენი არეულობითა და უბედურებით, ჩვეულებრივი მშვიდობიანი ცხოვრება სანატრელი გაგვიხდა, აღარას ვამბობთ იმ დუხჭირ ყოფაზე, რომელიც ამ რთულმა პოლიტიკურმა ვითარებამ გამოიწვია. დედაქალაქში ისევ დაძაბულობაა, ხოლო დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში — სამოქალაქო ომის საშიშროება. როგორ აფასებთ მიმდინარე მოვლენებს და რაში ხედავთ გამოსავალს?

— დღევანდელ საქართველოში მიმდინარე მოვლენების ცალსახად წარმოჩენა რთულია. ჩემი აზრით, ის პოლიტიკური კრიზისი, რომელიც დიდი ხანია შეიქმნა საქართველოში, აუცილებელ გადაჭრას საჭიროებდა. რასაკვირველია, უმჯობესი იქნებოდა მოვლენები ასეთი კონფრონტაციის გზით არ განვითარებულიყო, მაგრამ იმ შეხვედრების დროს, რომლებიც ორივე მხარის ლიდერებთან, ასევე ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენლებთან მქონდა, დავინახე, რომ ორივე მხარე ერთადერთ გამოსავალს ძალის გამოყენებაში ხედავდა. თუმცა მიმაჩნია, რომ მშვიდობიანი გამოსავლის მოძებნა ყოველთვის შეიძლება.

რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას: სისხლისღვრა უნდა შეწყდეს. დროებით აღდგეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, დაინიშნოს ახალი პარლამენტის არჩევნები. მოხდეს საზოგადოების ჭეშმარიტი დემოკრატიზაცია.

ბატონიშვილი ქეთევანი თბილისში სტუმრობისას ეწვია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს.

— სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ჩვენი ერის სულიერი წინამძღვარია. იგი ერის სახეა. მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია მეორე თავისი ყველა პიროვნული თვისებით ამის საუკეთესო დასტურია. მასთან ყოველი შეხვედრა ჩემთვის დიდი ბედნიერებაა — თქვა მან.

შარშან აგვისტოში, საქართველოში სტუმრობისას, ბატონიშვილმა ქეთევანმა თავის ოჯახთან ერთად მოინახულა მიწისძვრით დაზარალებული ადგილები და ბევრ ოჯახს აღმოუჩინა დახმარება, ამ პერიოდში იგი თავის შვილებთან ერთად ეწვია წყნეთის ბავშვთა სახლს და საჩუქრები გადასცა პატარებს. ახლაც არ დაივიწყა წყნეთელი ბავშვები, მით უმეტეს, რომ მისმა ვაჟმა ლელიომ და ქალიშვილებმა სთხოვეს აუცილებლად მოენახულებინა წყნეთის ბავშვთა სახლის აღსაზრდელები. სიამოვნებით შევასრულე მათი თხოვნა, — გვითხრა ბატონიშვილმა, — საახალწლო საჩუქრები გადავეცი ყველა ბავშვს, რომელთაც ეს ახალი წელი წინა წლებთან განსხვავებით, განსაკუთრებით მძიმე ჰქონდათ.

ბოლო შეკითხვა ასეთი მქონდა:

— ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ თქვენ რომში დააარსეთ ასოციაცია „წმინდა გიორგის ფარი“, რომლის ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს იტალიასა და საქართველოს შორის კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის განმტკიცებას. იტალიელ და ქართველ ხალხებს შორის კონტაქტების დამყარებას. რას გვეტყოდით, რა გაკეთდა ამ მხრივ ბოლო დროს?

— ჩვენი ასოციაციის თაობაზე ქართულ პრესაში უკვე იყო გამოქვეყნებული წერილები. ბოლო ღონისძიება, რომელიც ამ ასოციაციის ეგიდით მოეწყო გახლდათ ახალგაზრდა ქართველ მხატვართა გამოფენა ქალაქ ბრინდიზში. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ქართულმა ხელოვნებამ ამჯერადაც საკმაოდ მაღალი შეფასება დაიმსახურა. მომავალში კიდევ ბევრი რამ გვაქვს განზრახული. დღეს მთავარია საქართველოში დამყარდეს მშვიდობა, ერთიანობა, კვლავ აღდგეს ქართველთა შორის ურთიერთგაგება, სიყვარული, მიმტევებლობა...

გამომშვიდობებისას ბატონიშვილ ქეთევანს მისი სურათები ვაჩვენე, რომლებიც ილია ზენკომ წყნეთის ბავშვთა სახლში და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან, უწმინდეს და უნეტარეს ილია მეორესთან სტუმრობისას გადაუღო. ერთ-ერთ ფოტოს კი აქვე გთავაზობთ.

ილია ზენკოს ფოტო.

„ელისო ბოლქვაძე მართლაც ბრწყინვალე იყო...“

კვლავ გაგვახარა ჩვენმა უნიჭიერესმა პიანისტმა, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა **ელისო ბოლქვაძემ**. იგი ახლახან დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ოცი დღის განმავლობაში მან თხუთმეტი კონცერტი გამართა სხვადასხვა ქალაქებში და ერთხელ კიდევ დაარწმუნა ამერიკელი მსმენელი, რომ ვან კლაიბერნის სახელობის კონკურსის ლაურეატი მართლაც ღირსეულია 19 ქვეყნის 38 შემსრულებელთა შორის, რომლებიც მონაწილეობდნენ ორი წლის წინათ ტეხასის ქალაქ ფორტ-უერტში გამართულ შემოქმედებით დათვალიერებაში

მერი გაბრიაძე.

ქართული ხელოვნების ჰორიზონტები

და, აი, ცნობილმა ამერიკულმა მენეჯმენტმა „პილიერ ინტერნეიშენლმა“ მოაწყო პრაღის სიმფონიური ორკესტრის ტურნე და სოლისტად მიიწვია ჩვენი სახელოვანი პიანისტი ელისო ბოლქვაძე. საქმეში ჩაუხედავ ადამიანს ოც დღეში გამართული თხუთმეტი კონცერტი არაფერს ეუბნება, ხოლო სპეციალისტები ღირსეულად შეაფასებენ ამ მართლაც შემოქმედებით გმირობას, ელისომ რომ გამოიჩინა: ქალაქიდან ქალაქში დამქანცველი მგზავრობა, რეპეტიციებისათვის დროის უქონლობა, მსმენელის უკომპრომისობა და მაინც ბრწყინვალე გამოსვლები, გამარჯვება და აღიარება. ერთ-ერთ კონცერტზე ქალაქ ფლორიდაში მოხდა ასეთი რამ: კონცერტი 8 საათზე იყო დანიშნული. ხალხით გაჭედილი დარბაზი დიდხანს ელოდა კონცერტის დაწყებას, მაგრამ ინსტრუმენტების ჩამოტანა ქალაქ ფენიქსიდან იგვიანებდა. ელისოს მენეჯერმა და დარბაზის დირექტორმა სთხოვეს პიანისტს ეხსნა კონცერტი ჩაშლისაგან. სხვა გზა არ იყო და ელისომ ერთი განყოფილება სოლო პროგრამით წარმოადგინა. შთაგონებითა და ჩვეული ოსტატობით შეასრულა მან შოპენისა და პროკოფიევის სონატები და უდიდესი წარმატება ხვდა წილად. ამასობაში ინსტრუმენტებიც მიიღეს და მეორე განყოფილებაში პრაღის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად პეტრ ალტრიხტერის დირიჟორობით ელისომ დაუკრა სენ-სანსის კონცერტი. ეს იყო მუსიკოსის ჭეშმარიტი გამარჯვება, რომელიც ფრანგი კომპოზიტორის ამ ურთულესი ნაწარმოების არაჩვეულებრივ ინტერპრეტატორად წარსდგა მსმენელთა წინაშე. ამ ფაქტს აღნიშნავდა კიდეც გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი“. ამ ნაწარმოებით მოიარა პიანისტმა ამერიკის ქალაქები. აი, რას წერდა ამერიკული პრესა: „პრაღის სიმფონიური ორკესტრის სოლისტმა, ქართველმა პიანისტმა ელისო ბოლქვაძემ სენ-სანსის კონცერტი უნაკლოდ შეასრულა. იგი მართლაც ბრწყინვალე იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავდი სკერცანდოს (მეორე ნაწილი), რომელიც გამოირჩეოდა საოცარი დელიკატურობით. აქ გვხიბლავდა ყველაფერი: ფერთა შეხამება, ზუსტი სახეებით აზროვნება, პასაჟები, რომლებიც ბრწყინვალე ეფექტურობით ხასიათდებოდნენ“ (გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნ“). „ელისო ბოლქვაძე არის დიდი ენერგიის და პიროვნული ხიბლით აღსავსე პიანისტი. ის, რასაც იგი აკეთებს, სავსეა სიყვარულით და სულიერებით. მან აჩვენა უმაღლესი კლასის ტექნიკა“ (გაზეთი „ჩიკაგო სუნ-ტაიმს“). „სენ-სანსის კონცერტმა 24 წლის ელისო ბოლქვაძის შესრულებით აღფრთოვანება გამოიწვია. მისი დაკვრა გამოირჩეოდა რომანტიკულობით, სრულყოფილი ტექნიკით, აზრის წვდომის სიღრმით. იგი ჰარმონიულად შერწყმული მუსიკოსია, მას დიდი მომავალი აქვს. საოცრად საინტერესოდ ჟღერდა სოლისტისა და დირიჟორის დუეტი, რომელიც ძალიან მომხიბვლელი იყო. ასეთი ურთიერთგაგება და სულიერი შერწყმა იშვიათი მოვლენაა“ (გაზეთი „მაიამ თერალდ“).

იმ დღეებში ჩიკაგოში მიმდინარეობდა სერია სპეციალური კონცერტებისა, რომელშიც მონაწილეობდნენ მსოფლიოს მუსიკალური ვარსკვლავები — დირიჟორი დანიელ ბარემ ბოიმი, პიანისტები ალფრედ ბრენდელი, ევგენი კისინი, მაურიციო პოლინი, მევიოლინეები მაქსიმ ვენგეროვი, ისააკ სტერნი, იცხაკ პერლმანი... ამ თანავარსკვლავედში არაჩვეულებრივი ხიბლით აკიაფდა ქართველი პიანისტის ხელოვნებაც. ელისოს კონცერტს დაესწრო ჩვენი სახელგანთქმული ლექსო თორაძე, სწორედ მან მიულოცა თავის უმცროს კოლეგას უდიდესი წარმატება. ამერიკიდან ქართველი პიანისტის გამოსვლები გაგრძელდა საბერძნეთში, სადაც იგი მიიწვია ცნობილმა მეცნიერმა და მელომანმა ავთანდილ მიქაბერიძემ. ჩვენს სახელმწიფო სიმებიან კვარტეტთან ერთად ელისომ შეასრულა შუმანის, ფრანკის კვინტეტები, სოლო ნომრები და ბერძენი მსმენელების აღფრთოვანება გამოიწვია.

თავად ელისოს ძნელად ათქმევინებ რაიმეს საკუთარი წარმატების შესახებ. სამაგიეროდ იგი სიამოვნებით გვიამბობს ამერიკელ მსმენელებთან შეხვედრებზე, პრაღის ორკესტრის მაღალ საშემსრულებლო კლასზე, დირიჟორის ოსტატობაზე. მაგრამ საუბრის დეფიციტს საოცრად ავსებს ამერიკული პრესა, რომელიც აღფრთოვანებით წერს ქართველ პიანისტზე. მისი ჭეშმარიტი გამარჯვების დასტურია ახალი მიწვევა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 1993 წლისათვის დაგეგმილია ორთვიანი ტურნე იმ ქალაქებში, სადაც იგი ამჯერად გამოდიოდა, ასევე სხვა ცენტრებშიც. ეს ტურნე თურქეთიდან დაიწყება. სხვათა შორის, ამ ტურნეს ორგანიზატორთა შორისაა მსოფლიოს გამოჩენილი მომღერლის ლუჩანო პავაროტის კონცერტმეისტერი, რომელმაც მოუსმინა ელისოს და აღტაცებული დარჩა მისი ხელოვნებით.

წლეულს კი ელისო მონაწილეობას მიიღებს ტრადიციულ ფესტივალში — „პრაღის მუსიკალური გაზაფხული“, სადაც გამოვა პრაღის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად.

ჩვენ კი, ელისოს ნიჭის თაყვანისმცემლები, ვუსურვებთ ახალ წარმატებებს, ბედნიერ შემოქმედებით ცხოვრებას და მადლობას ვეუბნებით მას იმ სიხარულისათვის, რომლითაც იგი გვასაჩუქრებს თავისი უზადო და შთაგონებული ხელოვნებით, მით უფრო ახლა, ამ შეჭირვების ჟამს, როცა სიხარულის სხივი იმედით გვავსებს, მომავლის რწმენას გვიბრუნებს.

ჭორი და სინამდვილე

არ დადასტურდა

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ცნობა

26 იანვარს საღამოს ცენტრალურმა ტელევიზიამ გადმოსცა საბერძნეთის ერთ-ერთ გაზეთში დაბეჭდილი ცნობა, თითქოს ამ დღეებში საქართველოში მოკლეს ექვსი ბერძენი.

ამ ცნობამ ბუნებრივია, შეაშფოთა ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობა, მათ შორის ბერძენი მოსახლეობაც. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამორიგეო ნაწილი და პრესცენტრი დილიდანვე დაუკავშირდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს იმ რეგიონებს, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ბერძნები, მაგრამ მილიციის რაიონული და საქალაქო განყოფილებებიდან გვითხრეს, რომ ამგვარი ფაქტი მათთან არ მომხდარა.

ცენტრალური ტელევიზიით გადმოცემულ ამ ინფორმაციას, ვფიქრობთ, საფუძვლად დაედო გასული წლის 29 დეკემბერს მომხდარი შემდეგი ფაქტი: ამ დღეს, დაახლოებით 17 საათზე დაბა მანგლისის საავადმყოფოში მიიყვანეს ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრილი ბერძენი ეროვნების ორი თბილისელი მოქალაქე კონსტანტინე არჯანოვი და დიმიტრი სეჩოვი.

მათ განაცხადეს, რომ მსუბუქი ავტომანქანით თბილისიდან მიემგზავრებოდნენ წალკაში. მანგლისიდან მეთოთხმეტე კილომეტრზე, უეცრად, წალკიდან მომავალი ავტომანქანიდან მათ დაუშინეს ტყვიები და დაჭრეს.

იქიდან გამოსროლილი ტყვიებით დაჭრეს აგრეთვე მეორე ავტომანქანაში მსხდომი დაბა მანგლისის მცხოვრები, რვა წლის სიმონ წიკლაური და წალკის რაიონის სოფელ კარაკინის მცხოვრები, 28 წლის ზაურ შახბაზოვი, რომლებიც წალკის საავადმყოფოში მოათავსეს.

რამდენიმე დღის შემდეგ, ჭრილობებისაგან საავადმყოფოში გარდაიცვალნენ კონსტანტინე არჯანოვი და ზაურ შახბაზოვი. გამოძიებას აწარმოებს თეთრი წყაროს რაიონის პროკურატურა. ამ დანაშაულის ყველა დეტალს გამოძიება მოჰფენს ნათელს. მაგრამ ერთი რამ ცხადია ახლავე: თავდასხმა მიზნად არ ისახავდა ბერძენი ეროვნების მოქალაქეთა დახოცვას თუნდაც იმიტომ, რომ დაჭრილია ქართველი ყმაწვილი სიმონ წიკლაური და გარდაცვლილია სომეხი ზაურ შახბაზოვი.

კომენტარი ზედმეტია

ომარ ჩიტაია.

როგორც ცნობილია, ყოფილი პრეზიდენტის დაცვის 56 წევრი, რომლებიც იანვრის პირველ ნახევარში სომხეთიდან საქართველოში დაბრუნდნენ, წინასწარ გამოძიებაში იმყოფებოდნენ თბილისის მილიციის სამმართველოში. საქინფორმის კორესპონდენტი იმ დღეებში დაესწრო ზოგიერთი მათგანის დაკითხვას.

26 იანვარს მილიციის სამმართველოში კვლავ ვეწვიეთ თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსს გიორგი აბაშიძეს და დავინტერესდით, თუ რა ბედი ეწია დაკითხულ 56 კაცს.

— მეორე დღეს, ყველანი, გარდა ორისა, შინ გავუშვით. ეს ის ორი პირია, რომლებშიც უზენაეს საბჭოში ტყვედ მყოფმა დაზარალებულებმა თავიანთი მწვალებლები შეიცნეს. მათს საქმეს ახლა რესპუბლიკის პროკურატურა იძიებს.

— დარწმუნებული ხართ, რომ დანარჩენი 54 კაცი შინ დაბრუნდა?

— რა თქმა უნდა, არა. გვაქვს ცნობა, რომ, მაგალითად, გულრიფშის მთელი ბატალიონი —15 კაცის შემადგენლობით დასავლეთ საქართველოშია და კვლავ იბრძვის სამხედრო საბჭოს შეიარაღებულ ფორმირებათა წინააღმდეგ. ასე ვთქვათ, თანაუგრძნობენ ძმათა სისხლისღვრას.

— ბუნებრივად იბადება კითხვა — ნაადრევი ხომ არ იყო მათი გათავისუფლება?

— მეც ამ აზრისა გახლავართ. ალბათ, აჯობებდა, მათი გარკვეული ხნით არა დაპატიმრება, არამედ უბრალოდ იზოლაცია, მაგრამ ზემდგომმა ორგანოებმა არ გვირჩიეს.

მინაწერი: ბატონ გიორგი აბაშიძესთან ჩვენი საუბრისას ტელეფონით დარეკეს ერთ-ერთი გათავისუფლებულის — ლევან წიქარაძის ოჯახიდან და გვაცნობეს, რომ ლევანი გათავისუფლებისთანავე, შინ მიუსვლელად, ისე, რომ ბავშვებიც არ უნახავს, სამტრედიაში გაიქცა!

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

მიტინგები ვერაფერს გვიშველის

ჯემალ გურული.

შეჭირვებულ ქუთაისელებს კიდევ უფრო გაუმწარა ამ დღეებში სიცოცხლე ჭირვეულმა სტიქიამ. რამდენიმე დღეა თოვს, ბარდნის, ზუზუნებს ქარი, მძლავრობს ქარბუქი. თოვლმა ზოგან ორ მეტრს მიაღწია. ჩაიკეტა გზები, შეწყდა სატრანსპორტო და ქვეითი მიმოსვლა. სახლები ორ-სამჯერ გადაითოვლა.

— სხვა დროს ადვილად ვძლევდით სტიქიის შემოტევას, — განუცხადა „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტს ქუთაისის ზონის საკრებულოს მდივანმა, სტიქიის წინააღმდეგ მებრძოლი საქალაქო შტაბის უფროსმა ჯუმბერ ხარაიშვილმა, — მაგრამ ახლა ჩვენზე ბევრი რამ არ არის დამოკიდებული, ამიტომაც გვიჭირს. მაგალითად, ქალაქი და ზონის სოფლები სრულებით არ იღებენ ელექტროენერგიას, არ გვაქვს სათბობი რესურსები, საწვავი და ა. შ. ამის გამო არ მუშაობს არც ერთი სამრეწველო ობიექტი, ცხადია, შეწყდა მანგანუმის მოპოვება, არ თბება საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი ობიექტები, შეწყდა მეცადინეობები სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში.

დიდი სიძნელე შეიქმნა პურით ქალაქის მშრომელთა მომარაგებაში. რამდენიმე დღის განმავლობაში იგი საერთოდ არ ცხვებოდა და შიმშილობის თავიდან ასაცილებლად მოსახლეობას ფქვილს ურიგებდნენ. ამ ბოლო დღეებში ფურნეში დაიდგა ელექტროძრავა და მიღებული ენერგიით 23 იანვრიდან განახლდა პურის ცხობა. საქალაქო შტაბი ახორციელებს მრავალ სხვა ღონისძიებას, რათა ქალაქში აღდგეს ნორმალური ვითარება. ზემოიმერლები გამრჯე ხალხია, მათ მუშაობა სწყურიათ.

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა სურთ გამოვიდნენ გზების გაწმენდაზე, მაგრამ ჯერჯერობით ეს არ ხერხდება ძლიერი ქარის გამო. არ მუშაობს ტელევიზორი და რადიო, არ მოდის საერთოდ გაზეთები და მოსახლეობას ინფორმაცია არ აქვს, თუ სად რა ხდება. ქალაქსა და სოფლებში ადამიანები მოთმინებით იტანენ გაჭირვებას, მათი აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პოლიტიკას და მოითხოვს შეწყდეს უგუნური ძმათამკვლელი ომი, დამყარდეს სიწყნარე და მშვიდობა, ბოლო მოეღოს უაზრო მიტინგომანიას, ყველაფერი უნდა იღონონ, რათა საკუთარი ალალი შრომით აშენონ მომავალი ცხოვრება.

სამართალმა პური ჭამა

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის განკარგულებით დამოუკიდებელ საქალაქო გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორი ალექსანდრე შენგელია აღდგენილია სამუშაოზე. ამ თანამდებობაზე იგი აირჩია რედაქციის კოლექტივმა 1990 წელს ხუთი წლის ვადით. საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილის რ. გოლეგაშვილის აზრით, იგი უკანონოდ გაათავისუფლა ქალაქის პრეფექტმა 1991 წლის 22 აგვისტოს. დღეს სამართალმა პური ჭამა.

ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ბატონ თენგიზ სიგუას წარდგინებით საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრის მოვალეობის შესრულება დააკისრა **ბესიკ პავლეს ძე ჯუღელს**.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მმართველის მოადგილის მოვალეობის შესრულება დააკისრა **გივი სარდიონის ძე ბაკურაძეს**.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით, **გივი ზურაბის ძე აბდუშელიშვილი** გადაყენებულია საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გაათავისუფლა:

თეიმურაზ დავითის ძე ჩხეიძე — საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობიდან,

რომანოზ ანთიმოზის ძე ესვანჯია — საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან,

ნოდარ ვალერიანის ძე ბაბაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან,

ნუგზარ შამშეს ძე ლეჟავა — საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან.

ჩოგანი

ზუსტი გადაცემა და...

ვახტანგ ნადირაძე.

1992 წელი. 26 იანვარი. თბილისი. საქართველოს ტელევიზიის გადაცემა. ფეხბურთის მატჩი: თბილისის „დინამო“ — „ლივერპული“.

გადაცემამდე წინ უძღვის მოსკოვისა და თბილისის საინფორმაციო პროგრამები: „ნოვოსტი“ „ვესტი“, „ქრონიკა“ — რამდენად დაზუსტებული ინფორმაციებით არავინ იცის, მაგრამ საქართველოს ტელევიზიამ 1980 წლის მატჩის ფრაგმენტის გადაცემით ჩემი და, ალბათ, სხვების ტვინის ზუსტად ის უჯრედი შეარხია, მონატრების ნიჭი სადაც გვიდევს.

ფეხბურთის გულშემატკივარი ყოველთვის ვიყავი, მაინც არ მეგონა ამდენი თუ შემეძლო...

პილაიას ზუსტი გადაცემა და... ბურთი მომაწვა ყელში ერთად აჭუვლებული, გახარებული უამრავი ქართველის დანახვაზე, არ ვიცი ვისი და როგორი იდეოლოგიით გაბრუებული, მაგრამ თავისი, ქართველობით მოამაყე ქართველების დანახვაზე.

მომნატრებია „დინამო“! „დინამო“!, „დინამო“! დინამოელთა გატანილი გოლით ერთმანეთს ჩაფსკვნილ-ჩამარჯვებული იბერთა მოდგმის ნაცნობ-უცნობები...

...მომენატრა, როგორ მიხაროდა და მეამაყებოდა დინამოელთა ჯიშის რომ ვარ.

დიახ, დინამოელთა, რამეთუ „დინამო“ ჩემთვის ყოველთვის იბერიის, კოლხეთის და საერთოდ საქართველოს სპორტული სიმბოლო იყო და არა გენერატორისმაგვარი ელექტრომოწყობილობის ან ჩეკისტების.

მონატრებამ „იბერიაც“ გამახსენა და ვინატრე... რაშიდაც ყველა ქართველი ალბათ, ერთსულოვანი ვართ...

„ასაფეთქებელი არიან ტელევიზიის თანამშრომლებიო“ — დაუფიქრებლად ბრძანა ერთმა ქალბატონმა პროგრამა „საღამომშვიდობისაში“...

მოწყალეო ქალბატონო, ნუ ვისურვებთ ერთმანეთის აფეთქებას, ხომ ხედავთ, რა შეძლებია თუნდაც მხოლოდ ფეხბურთს. ფეხბურთის გარდა კი იმდენი სიკეთეა ამ საოცარ ქვეყანაზე, ოღონდ დავინახოთ, ოღონდ გავიხსენოთ — სიკეთე ხომ თავისთავად პოზიციაა.

სხვისი არ ვიცი, პირადად მე კვირა საღამოს საქართველოს ტელევიზიის „ზუსტი გადაცემის“ შემდეგ ორშაბათ დილას სამსახურში უფრო კეთილი ვიყავი.

ღვთისნიერება

ქართული სისხლის გადასარჩენად

ვაჟა ჩხაიძე.
სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგურის მთავარი ექიმი.

დღეს საქართველოს ბევრი რამ უჭირს, მაგრამ ყველაზე მეტად, ალბათ, ის სისხლი, რომელიც უნდა გადაესხას ავადმყოფებსაც და დაჭრილ თანამოძმეებსაც.

გასული წლის 22 და 23 დეკემბერს მართლაც რომ ზღვა ხალხი მოაწყდა სისხლის გადასხმის სადგურებს. ყმაწვილები წლოვანებას იმატებდნენ, ასაკოვანნი კი პირიქით — იკლებდნენ, ოღონდ სისხლის გაღების ნება დაერთოთ მათთვის. მადლობის მეტი რა გვეთქმის მათ მიმართ. თუმცა მადლობა რა მოსატანია იმ უდიდეს სულიერ კმაყოფილებასთან, როცა იცი, რომ შენითაა გადარჩენილი კიდევ ერთი თანამოძმის სიცოცხლე!

მაგრამ მომდევნო დღეებში დონორობის მსურველთა ტალღა ნელნელა დაცხრა და მალე სულ მიწყდა, რის გამოც ამოიწურა სისხლისა და მისი პრეპარატების მარაგი. დაჭრილების რიცხვი კი, საუბედუროდ, მატულობს. მათ სამკურნალოდ, სისხლის გარდა, აუცილებელია კრიოპლაზმა, ალბუმინი და სხვა პრეპარატები, რომლებიც დონორის სისხლისაგან მზადდება.

ამიტომ უმორჩილესად ვთხოვთ ყველას: გამოიჩინეთ გულისხმიერება და გაიღეთ სისხლი დაჭრილებისათვის საჭირო პრეპარატების დასამზადებლად.

მსურველებმა უნდა მიმართონ სისხლის გადასხმის ადგილობრივ სადგურებს, რომლებიც ყველა დიდ ქალაქშია, ანდა სისხლის გადასხმის განყოფილებებს, რომლებიც ყველა რაიცენტრის საავადმყოფოსთანაა.

თბილისელებს კი აქვე შევახსენებ მისამართებს, ქავთარაძის ქუჩა, 21ა, სისხლის გადასხმის რესპუბლიკური სადგური. ტელეფონი 30-41-77 ან 31-91-86; უზნაძის ქ. 45, სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური. ტელეფონი 95-59-81 ან 95-22-64.

იმისათვის, რომ იმავე დღეს მოესწროს სისხლის გადამუშავება პრეპარატებად, სასურველია სისხლის ჩასაბარებლად გამოცხადდეთ 10 საათიდან 14 საათამდე, გარდა შაბათ-კვირისა.

ვთხოვთ მშრომელთა კოლექტივებს, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ადგილზე მოაწყონ დონორის დღეები, ტელეფონით დაუკავშირდნენ სისხლის გადასხმის სადგურებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბრიგადების მივლინებას ადგილებზე.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები გულისხმიერებით მოეკიდებიან ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს და სათანადო დახმარებას გაგვიწევენ.

აქვე იმასაც დავძენ, რომ მსურველები მხოლოდ საექიმო შემოწმების შემდეგ დაიშვებიან სისხლის გაღებაზე, ნუ შიშობთ, დონორობა სრულიად უვნებელია. დონორი სავსებით დაზღვეულია იმუნოდეფიციტური სინდრომის ანუ ეგრეთ წოდებული შიდსისაგან, რადგან ეს სამსახური მთლიანად უზრუნველყოფილია ერთჯერადი ხმარების შპრიცებით. ნურც ავადმყოფებს შეეშინდებათ — ყოველი დონორის სისხლი წინასწარ მოწმდება შიდსზე.

თქვენი ღვთისნიერებისა და თანადგომის იმედი გვაქვს, ძვირფასო თანამემამულენო.

ნუ ვყოყმანობთ, ნუ ვიქნებით სხვის იმედად.

ჩვენივე სისხლმა უნდა გადაარჩინოს ქართული სისხლი!

ამინდი

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით ზოგან, დღისით ყველგან თოვლი, გზებზე მოყინულობა, იქროლებს წამში 9-14, ზოგან 15-20 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი. ტემპერატურა — ღამით ბარში — 3+2, დღისით 0+5 გრადუსი, მთაში ღამით — 6 — 11, დღისით 0—5, მაღალ მთაში ღამით — 11—16, დღისით — 5—10 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ზოგან მცირე თოვლი, გზები მოყინული, იქროლებს 9-14, ალაგ-ალაგ 17-22 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი. ტემპერატურა — ბარში ღამით — 2—7, შიდა ქართლში — 8—13, დღისით 0+5, მთაში ღამით — 10—15, დღისით — 1—6, მაღალ მთაში ღამით — 15—20, დღისით — 6—11 გრადუსი.

თბილისში — ცვალებადი მოღრუბლულობა, მცირე თოვლი, გზებზე ლიპყინული, იქროლებს წამში 9-14, ქალაქის გარეუბნებში 17-22 მეტრი სიძლიერის ჩრდილო-დასავლეთის ქარი. ტემპერატურა ღამით — 2—4, დღისით — 3-5 გრადუსი სითბო.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

[illegible] 380096, თბილისი, [illegible] ქ. № 14 ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 22-12-57; [illegible] [illegible] 99-73-24. [illegible] ქ. № 29. [illegible] 64434.